



მეფემსი

№ 15-16

№ 15-16

1883—1906 წ.

30 აგვისტო.

ზ ი ნ ა რ ს ი

F. 9843

საღიბარბარო ბანაშვილი: რუსულ გაზეთების ბეზღობა ავტოკეფალობის აღდგენის გამო, სოფლის ხუცისის.—საქართველოს სამღვდლოების წერილი მთავარ ეპისკოპოს ნიკონსადმი.—ხმა ღვთისა—ხმა ერისა, მღვ. ნემსი-წერილის.—მანიფესტი სპარსეთის შაჰისა.—მცნეორ კაცთა გონების საღაროდან.—მწარე დიქრები, სოფლის ხუცისის.—ახალი ექსარხოსის მოსვლა თფილისში.—ჟურნალ-გაზეთებიდან.—ახალი ამბები და შენიშვნები.—დადგანილება.

სწავლა და მისწიარება ძრისტიანობის სარჩუმობასა და კითხლ-წმობას: ლოცვა და მარხვა ქრისტიანისი, ი. ბალუვის.—საუბარი. რა არის ქვეყანაჲ ყველივეჲ უღლდესი? ბლ. მღ. იუსტინე ფანცხვას.

რუსულ გაზეთების ბეზღობა ავტოკეფალობის აღდგენის გამო.

არ აღძრულა არასოდეს არც ერთი კითხვა ჩვენი მხარის სასარგებლოდ და საკეთილ-ღმეოდ, რომ ზოგიერთი რუსული გაზეთების რედაქტორები კჳაუხე არ შეშალის ამ კითხვებში. აღდგინდება თუ არა რამე კითხვა საერო თუ სასულიერო წოდებაში რამე რეფორმის შემოღებაზე მაშინვე მორთვენ ერთ ღალადს რუსეთის ნაძირალა მწერლები და გაიძვერები და საზოგადო ბეზღობითი ემისტრლებით გაავსებენ ჟურნალ-გაზეთებს. ყარაულ! გვიშველეთ, ვიღუბებით, რუსეთის დაქტევა სუ-სთ აზიელბს! არ მიიღოთ მათი თხოვნა, არ შეიწყნაროთ მათი მუღარება! ჩვენ უკეთ ვიცით მათი მღგამარება, ჩვენ დაგვიჯერეთ როგორც მათში მცხოვრებთ და სხვა და სხვა მახინჯი მათი აზრების გავრცელებას დასასრული არა აქვს. ხშირად მართებლობაც ყურადღებას აქტევს ამისთანა საზოგადო კაცების და ბეზღობითი წერილებს და უკუღმა ტრიალდება ყოველივე კეთილი აზრი და განზრახვა, ანა მარტო მკვიდრ მცხოვრებ ქართველთა, არამედ ადგილობრითი მთავრობის მოხსენებაც.

ამისთანა საზოგადო „დანოსების“ და ბეზღობით სასვე წერილების ბეჭდვაში პირველი ადგილი უკა-

ვია რუსულ გაზეთს „ნოვოე ვრემიას. მე-№ 10196-ში ჩვენ ვკითხულობთ შემდეგ საყურადღებო წერილს. საყურადღებოს მხოლოდ უმართლოებით და ბეზღობით. ეს სტატია ხელ-მოწერილია ვიღაცა „დაკარგულის“ სახელით. მოვიყვანთ ამ სტატიიდან თვითველ მუხლებს და იქვე ვავებთ პასუხს, რომ მკითხველს გაუადვილოთ შეტყობა „დაკარგულის“ სვინდისის სიფაქიზისა და მიმართულებისა. ჩვენ დაუშუტყეებთ მკითხველს, რომ „დაკარგულს“ ნამდვილად დაკარგვია სვინდისის და ლოდიკური აზროვნება. ანა გავარჩიოთ „დაკარგულის“ სტატია, რომელიც სიხარულით მიუღია ბ. სუეორინს და დაუსტამბავს თავია გაზეთში „დაკარგული“ ასე იწყებს თავის სტატიას: „პოლიტიკოსები ანაფორებში“.

„კავკასიიდან თან-და-თან შემადრწუნებელს ამბებს ვდებულობთ. ამ მხარის საზოგადო სურათი სერაოზულ შიშს გვიქადის მომავალში. ნახევრად გაველურებულის აზიელბების მხეცური აღლო უფრო და უფრო ღვივდება და ფართოდ შლის ფრთებსა, ბრბომ სრულიად თავისუფლად იგრძნო თავის თავი ამ გაზრწნილ მხარეში. ყველგან მკვლელობა, ქურდობა და მალ-მომოგობაა, ძალზე მომწიფებულმა იანვარ—თებერვ-ლში მეამბოხთა რიცხვა იმატა; კავკასიის ჯრველიუციონერებს“ მხარი დაუჭირებს სწავლა დაუმათერებელმა შკოლელებმა, გოფიკულ





ნახევარ-ინტელიგენტებმა, „შეგნებულმა“ მუშებმა, თავის ნებით მუშაობაზე ხელ-აღებულებმა, გამოგდებულმა სემინარიელებმა და უმთავრესად თავის თავად განაცონანალისტებულებმა, შრომაზე მწყურალებმა და ჯიბის გასქელების მსურველებმა. სრული გაკოტრება უმადლესი რუსეთის მთავრობისა, რომელსაც თავკარიანმა პეტერბურგმა თავი დაუტრა, მიუხედავად იმისა, რომ მე ამაზე არა ერთ-გზის მიახმა თავის დროზე, ხელ-უხლებელი დარჩა და ეს ხომ, რასაკვირველია, მემბოხეთათვის კაი ხელსაყრელია; აზიელი თუმცა ცოტადი გამოვალაშინებულა და ვეროპის ცივილიზაციას კულში მოგზაღუქა, დანჯეულია დემორჩილოს ძალ-ღონეს და ძალა ამ ქამად კავკასიაში ხომ ქუეგშია, რომელთაც დიქტატურა გამოაცხადეს, — ექ რალა გასაკვირვალა, რომ კავკასიელები დაექვემდებარენ ამ დიქტატორს და მორჩილად მისი ნების აღმსრულებელია! ტერორი და ამბოხების თანაგრძობა ისეა ერთი მეორეში გადახლართული, რომ ძნელი გამოასაკვეთია სად იწყება პირველი და სად თავდება მეორე. სასაციოა ტერორით ახსნა-განმარტება ყოველ შემთხვევაში ნებართვა პოლიტიკური მკვლელობისა, ყუბარების მსროლელთა დახაღვა და პოლიტიკური დემონსტრაციები, როგორც ყველგან მოგვითხრობენ კავკასიელები, რომელთაც ამით უნდათ დავეანახვონ თითქო თავიანთ მოქმედებაში უნებლიეთ იქცეოდენ“

„იმ დროს, როდესაც დაიქსაქსა საზოგადო აზროვნება, დაემხო ქრისტიანული იდეალები, ბოლო მოეღო ზნეობას, გახრწნის გზას დაღდა ოჯახი და შკოლა, პოლიტიკაშია სიციფება ნიადაგი მოიპოვა, როდესაც, ვამბობ, ფებ-ქვეშ გაითელა და დაირღვა ყველაფერი ის, რისგანაც უნდა აღმოცენებულიყო ძლიერ მოსილი სახელმწიფო, მოსალოდნელი იყო ამ დროს ეკლესიის მწყემსნი აღამაღლებდენ ხმას. თუ არ მღვდლებს, მაშ ვინ უნდა გამოასულიყო მემბოხეთა სახმობლეობა! მიუხედავად ამისა, უცხო კავკასიის სამღვდლოებამ სხვა ასპარეზი აირჩია, დამწვიდების მაგიერად ამ მხარის გარეგოლიუციონერებას ხელი შეუწყო, შეიტანა ხალხში შოკინიზმი და სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა სახელმწიფო საეკლესიო რევლამენტსა. თავიანთი ფანატოზით ქართველ და სომხის სამღვდლოებამ გადააქარბა თათრების მოღებს, რომელნიც დღემდე უკიდურეს ფანატიკოსებად ითვლებიან.“

«დაეარგულს», როგორც სჩანს სრულებით დამსია გონების თაღლები და ვეღარას ხედავს, თუ რა ხდება რუსეთში, რა ხდება თვით პეტერბურგსა და მოსკოვში. დიად, მარტო საქართველოშია მოძრაობა, თორემ შიგა რუსეთში ბაიბური არ არის...

„დაეარგულმა“ ამ სიტყვებით მოამზადა ნიადაგი, რომ როგორიმე გზით გადავიდეს სამღვდლოებაზე და მოხსნას თავის ტყუულის გუდას თავი და ამოალავოს იქიდან ცოცხალ-ცოცხალი ტყუილები.“

„ყველა ეპარქიების სამღვდლოებს წინ გაასწრო თავის მოუხეშავი ხასიათით — დასავლეთის საქართველოს სამღვდლოებამ; ამას ამ ქამად არ ჩამორჩა დანარჩენი ქართლ-კახეთის სამღვდლოებაც, რომელსაც მეთაობენ ქართველი ეპისკოპოსები; მათ დაუვიწყრით თავიანთი დანიშნულება და მთლად ერთიანად პოლიტიკით გაეღვითილან. ყველა ეს „ანაფორიანი პოლიტიკანები“, რომელნიც საქაოჯამადგის დებულბოენ ხაზინიდან აქტიურად გამოვიდეს სარევოლიუციო მოქმედების ასპარეზზე. როდესაც ყველგან ამბოხების ქარ-ცეცხლი იყო მრავალი ქართველი მღვდლები მთავრობის საწინააღმდეგო აგიტაციისათვის დაისაჯენ. ქართველი ეპისკოპოზები კირიონი და ლეონიდე, ორთავე უსასტიკესი (законные) მტერნი რუსეთის სახელმწიფოს მფლობელობისა კავკასიაში, რითაც უნდა გამოიხატოს იგი, დემონსტრაციულად დაესწრენ სულელის შმიდტის პანაშვიდზე, რომელიც გადახდილი იქნა ქართველი რევოლიუციონერებისაგან.“

„რაც მეტად ცხოველდებოდა ამბოხება, მით უმეტესად უტიფრად (наглые) იქცეოდენ ქართველი ხუცები (попы). როდესაც ტფილისში სამართალში აძლევდენ ოცდაათს ჯარისკაცთ მემბოხეთაგნებს მინგრელსკის პოლკისას და როდესაც ქალაქში ამისა გამო გამართეს გრანდიოზული გაფიცვა, რომელშიაც მონაწილეობას იღებდენ არამც თუ ხელნაწი და წვრილი ვაჭრები, არამედ ქალაქის გამგეობა და ყველა სხელი ვაჭრები, ამ დროს ქართველმა ხუცებმა მიმართეს გრაფ ვრონცოვის „საშუამდგომლოდ“, რომელიც ასე თავდებოდა, როგორც ეწერა ერთ ერთ ქართულ გაზეთში:

„ჩვენ სამღვდლოება, ფიცსა ვდებთ დაუკეთოთ ეკლესიების კარები ბიუროკრატებს, სისხლით ხელემ შედებილთ და ღეთის-მსახურების დროს არ



მოვისენოთ არც მართებლობა და არც ქრისტეს მოყვარე მებდრობა*.

ეს კიდევ ცოტაა: ქართველმა სამღვდლოებამ ეპისკოპოსის ნიკონის საქართველოს ექსარხოსათ დანიშნვის შესახებ დაადგინა, რომ იგი ამიერიდან არც ერთ ექსარხოსს არ ღებულობს და თუ ჩამოვა სამღვდლოება მისთან არავითარ საქმეს არ დაიქერს და გამოუცხადებს ბოიკოტს (!!) უმართებელს სინოდს ერთს ქართველს ნაციონალისტს, თავ. ილია ჭავჭავაძეს (სახ. საბჭოს წევრს) ქართველ ანაფოროსან პოლიტიკანებმა გაუგზავნეს პეტერბურგში შემდეგი ტელეგრამა:

„ქართველი სამღვდლოება ღრმად დაარწმუნებული მასში, რომ მხოლოდ თავისუფალ ეკლესიას შეუძლია გაამთავლოს ის წყაღებები, რომელითაც გარემოცული იყო საქართველოს ეკლესია დღიდან მასზე ბატონობისა ექსარხოსების მიერ, მტკიცედ აღვა იმ გადაწყვეტილებას, რომელიც გამოითქვა პეტრიცებში. ამისათვის სამღვდლოება გთხოვს თქვენ გადასცეთ ახლად დანიშნულს ექსარხოსს ნიკონს, რომ არ ჩამოვიდეს საქართველოში. გთხოვთ ამაზედვე აცნობოთ მიტროპოლიტ ანტონს“.

რად ფარავთ ბ. „დაკარგული“ იმ ფაქტს, რომ სამღვდლოებას მიუღოს საქართველოში თითქმის მოუსპეს დრამა და სხვა შემთხვევით რომლის გამო იგი დიდ გაქირებებს იომენებ დღეს? რად ფარავთ იმ ცხად ფაქტებს, რომ განმათავისუფლებელმა მოძრაობამ იმსხვერპლა ზოგიერთი სასულიერო პირები ბიუროკრატის ერთგული სამსახურისათვის? რად უყფით მღვდლებს, როდესაც ეხლანდელს მოძრაობაში სამღვდლოებას დღემდის მონაწილეობა არ მიუღია? თქვენ აღბად გნებავს, რომ სამღვდლოებას პოლიციის ავდილი დაეკავოს, რადგან იგინა გარედ ვედარ გამოდიან თუ ხუთი-ექვსი სტრაჟნიკი ბრდანეკებით ხელში არ გაყვენ გზაში დასაცვლად! დილ, თქვენ გნებავს, რომ პოლიციელების როლს ასრულებდეს სამღვდლოება! ერთ დროს, კვირას წირვას დაესწრენ პეტერბურგში ეპისკოპოსები დღონიდი და კირიონი და სხვა რუსის ეპისკოპოსებიც. გათავდა თუ არა წირვა ერთმა რუსის მწირველმა ეპისკოპოსმა პანაშვიდი გარდაიხდა შმიდტის სულის მოსახსენებლად. მლოცველები ეკლესიიდან არ იყვნენ გასულნი. რა უნდა ექნა ეპისკოპოსებს — ლეონიდს და კირიონს? მიეტრავებოთ ეკლესია

და მლოცველები და გასულიყენ გართ? მაშინ ხომ ბარლს დადებდენ, რომ ეკლესიიდან გავიდენ რა ა ხალხი ეკლესიაში იყო? რატომ არაფერს ამბობს პანაშვილი შემსრულებელ რუსის ეპისკოპოსზედ დაკარგულა? არ ამბობს მიტომ, რომ იგი რუსია და იმას ხომ მარტო ქართველი სძულს და ამიტომ აბუღლებს მას. ფუი ამისთანა მწერალს და ამისთანა ბეზლობითი წერალების მმეკვედ გაზეთის გამომცემელს!.. სულელი იყო შმიდტი? რომელი ეკლესიაური კანონი უქრძალავს სულელს გიგს პანაშვიდის ვადახას?..

რა უნდა ვითხოვთ „დაკარგულს“ როდესაც მას სრულებით არ ესმის თუ რა არის ეკლესიის ავტოკეფალია. რა აკლდება რუსეთის სახელმწიფოს, რომ სომხებს ჰყავს თავისი კათალიკოსი და თვითონ განაგებენ თავის ეკლესიის საქმეს? რა აკლდება რუსეთის სახელმწიფოს, რომ ქართველ კათოლიკეთს ჩვენში ჰყავსთ თავის პაპა და თვითონ ეპისკოპოსები? რატომ არ უნინზავს მათ ექსარხოსებს სინოდი? რა დაშავა საქართველომ, რომ იგი მოკლებულია უფლებას თავის ეკლესიის საქმეები განაგოს ისე როგორც სხვები განაგებენ? ნუ თუ ქართველები დანაშავენი არიან მართლ-მადიდებლობისათვის და მისათვის რომ რუსეთს თავის ნებით შეუერთდენ იმ მოსახრებით რომ უმჯობესი ცხოვრება მინიჭებოდათ? გამოგვაყურეს ზოგიერთებმა კვენით, ვითომც ექსარხოსების ხელში საქართველოს ეკლესია ბევრად დაწინაურდა და სარწმუნოება და კეთილ-ზნეობა ბევრად მაღლა დადგაო. მაგრამ ეს ხომ სიცრუეა და აშკარად სხვისი და თავის მოტყუება! ვადათავლიერეთ ჩვენი ეკლესიების და მონასტრების სიები მათის სამრევლოებით და ძმანების რიცხვით და თქვენ დარწმუნდებით, რომ სრულებით აღარ ვართ იმდენი რამდენიც იყვნენ წინეთ და აღარც ისეთები ვართ რაც ვიყავით წინეთ. ეს ამტკიცებს დაწინაურებას და უმჯობესობას?..

შემდეგ ამისა განაგრძობს ბ. დაკარგული თავის ცილისწამებას და ბეზლობას, რომელიც მიმართულია არა მარტო სამღვდლოებისადმი, არამედ ჩვენი კუთხის უმღელი მთავრობისადმიც. თუ აქაური უმადლესი მთავრობის აღარ ეშინია და აღარც მისი რტხვენია მაშენ დაკარგულის თავგასულობას საზღვარი აღარ ჰქონებია და მის ცილისწამებას და ბეზლობას სამღვდლოების ვასამტყუნებლად დასა-



სრული არ ექნება შემდეგშიაც. „ნოვოე ვრემია“, რომელიც სულით და გულით ეძიებს ამისთანა ცრუ და ქარაფშუტა მწერლებს ბევრს ამისთანა წერილებს უძღვნის კიდევ ჩვენს სამღვდლოებას... მოისმინეთ კიდევ დაკარგულის ცილის-წამებანი და ბეზღობანი:

„ეკლესიის თავისუფლად აღმადგენელი! „სტრუვილი“ რომლის განზორციელებას ქართველი სამღვდლოება ითხოვს პეტრიკებში მდგომარეობს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიაში ქართველი კათალიკოსის მეთაურობით. ავტოკეფალიის აგიტაციას სარჩულად უდევს ნაპღვილად პოლიტიკური სარჩული. მომავალი კათალიკოსად ქართველი სამღვდლოება ნიწნავს ქართველ ეპისკოპოსს კირონს რომელიც კი ხსენია ეწვევა გაქართველებს არამც თუ კავკასიაში მართლ-მადიდებელის ეკლესიისა, არამედ მასთან მეზობლად მცხოვრებლებისას, რომელნიც სცხოვრობენ ქართველებთან. კავკასიიდან წააულმა კირონ-ეპისკოპოსმა (რომელიც უფრო ვაქეუნეს) იმ დროს როდესაც ლაგამედენ სულელურ ნაციონალისტების მისწრაფებას ვორონცოვის რეჟიმის დროს დაქსქრა—გაშმართა თავისივე საპატია დაბრუნება და იკისრა მეთაურობა ამ მოძრაობაში, რომელსაც აზრი აქვს საქართველოს ეკლესიის სრულიად რუსეთის ეკლესიიდან გამოყოფას. კირონის სოხუმის ეპისკოპოსად დანიშნა უდიდესი პოლიტიკური მტკლამაა, ეს შეესაბამება მხოლოდ იმ უხეირობას, რუსეთის სახელმწიფოს ინტერესების გათვლას, იმ უხედურს გამგეობას კავკასიისას, რომელიც დამართა მას თვის მოსვლით გრაფმა ვორონცოვ-დაშკოვმა თვის დამკაშვებთან ერთად, მდგრად კულტურას ატარებდა ამ მხარის დასაღუ პავდ, რუსეთის შესარცხვენად და რუსეთის ერის სამწიკველი.“

„ამ მხრივ არ ჩამოუარდება არც პეტერბურგი: თუ დაუჯერებთ ზოგიერთს გახეთქვის თავადმა ილია ქავკავამემ მიიღო ეს ზემოხსენებული ტელეგრამმა საქართველოს სამღვდლოებისა დაარწმუნა მიტროპოლიტი ანტონი არ გაუგზავნოს ექსარხოსები საქართველოს ეკლესიის განსაღვლად? ქართული გახეთი „ივერია“ (პ. 17) აღტაცებული საქართველოს სამღვდლოების სარეგულიციო მოქმედებით, მოგვითხრობს: „ახალის ექსარხოსის დანიშნას გამო საქართველოს სამღვდლოებამ ერთ-მხად ვადასწყვი-

ტა ბიოკოტი მას (ექსარხოს) და სინოდს... დღეს თუ ხვალ საქართველოს სამღვდლოება შეუღდება თვის გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანას, და ჩვენ ვალდებული ვართ მორალური შემწეობა აღმოუჩინოთ“.

ერთს რუსულ გახეთში, რომელიც მომხრე ქართველ პოლიტიკან ანაფორასან სარეგულიციო მოქმედებას, ასე უმატებს ზემო ნათქვამს:

„საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია უავტონომიოთ შეუძლებელია; პარტია რომელიც თანაუგრძნობს განმთავისუფლებელ მოძრაობას(!) და ამისთანავე მთელს ქართველ ერს შეუძლიათ მისკენ მხარი ქართველ სამღვდლოებას მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ სამღვდლოება ავტოკეფალიის მოთხოვნილებასთან შეერთებებს ავტონომიის მოთხოვნილებასაც“.

„ამისთანა სამღვდლოების დამფასებლებზე უნდა გვახსოვდეს, რომ არამც თუ სოფლის მოძღვრები, არამედ ქალაქისაც უმეტეს ნაწილად სემინარიაც არ გაუთავებიათ. ყველა ისინი ცოტა განათლებული და ცოტათი წერა კითხვის მცოდნეა. იყვნენ ქართველი ეპისკოპოსები (მაგ. ყოფილი გურია-სამეგრელოსი აღექანდრე, რომელიც სახელ განთქმული თავის სიძულელით ყოველივე რუსობაზე) რომელიც აკურთხებდა ხოლმე ჯერ დიაკნად და მერ მღვდლად რომელიმე ეპისკოპოსის მსახურს ანუ ლაქიას. საქართველოს სამღვდლოების დასახსნათებელ მასალას მრავალს იპოვიეთ ქართლ-კახეთ-იმერეთის სასინოდო კანტორაში; საკმაოა გაეიცნოთ ათიოდე „საქმეები“ ქართველ მღვდლებზე, რომ გაეიკადისწინათ ვის ხელშია ქართველები და აქედან აშკარად დაინახათ თუ რათ დაჰკარგვს სარწმუნოებრივი გრძობანი ქართველებმა (უფრო კი გურულმა და იმერლებმა). ქართველი მღვდლები ხელ გაწაფული არიან „ინტრიგობასა“ და „კლიაუზობაში“; ახლა კლიაუზობას თავი ვაანებებს და ერთი აზრითა არიან გამსქვალული: რუსეთის სასულიერო მთავრობა შესცვალონ ქართულად, შექმნან „ნაციონალურის თავისუფლად ეკლესიიდან პოლიტიკური ერთეული, რომ ინტრიგობა და კლიაუზობა უმეტესად გავრცელებულია რუსეთის სამღვდლოებაში ამას ცხადათ ამტიკებენ რუსეთის ეპარქიალური ყურნალები, რომელთა შინა მრავალჯერ არის ხოლმე გამოცხადებული რუსის მღვდელთ-მთავრებისგან



სამღურავე ზოგიერთ სანდვდელთა პირთა კლიაუზობაზე. ქართლ-კახეთ-იმერეთის სინოდ. კანტორაში მოინახება არა თუ ათი საქმე, არამედ მეტიც, რომელიც კარგად ახასიათებენ კანტორის გამგებობაში მყოფ მღვდლების ყოფიქცევას. გავშინჯოთ ერთი ოფიციალური ქაღალდი უკანასკნელი დროისა. აი რა სწერია მას შინა: „შსშს მთავარ-ლიაკონი, კარგად გადაკრული მივიდა ეკკლესიაზე და უნდა მოხმარებოდა მღვდელს გვირგვინის კურთხევაზე. მღვდელს არ სურდა მისი მოხმარება, მაგრამ არ დაიშალა და როცა დაიწყა წინდობის ექვემდებარება წარმოსთქვა: „განსვენებისათვის აბრამის წიაღსა შინა სასიძოხსა (სახელი) და სასძლოესა (სახელი)“. მღვდელმა შეწყვიტა მღვდელ-მოქმედება და უთხრა მთავარს: თუ თავი არ დაანებებ მე შესაძლებლს გავიხილ და გავალ ეკკლესიიდანო. მთავარი მიეფერა და დააწმუნა მღვდელი, რომ ყოველივეს წესებრად იტყვის. დაიწყეს ხელ-ახლა წინდობა. როცა მიღვა მთავარი სასიძოხსა და სასძლოს მოხსენებაზე წარმოსთქვა: განსვენებისათვის აბრამის წიაღსა შინა მოუციოს სასიძოხსა (სახელი) და სასძლოესა (სახელი). აღმოვიდნენ მეფე-დავითი და გლეხები, მღვდელმა თავი დაანება გვირგვინის კურთხევისა და გარეთ გავიდა. მთავარ ლიაკონი შევიდა ტრაპეზში გაიძრო სტიხარი და ისროლა საღაროსკენ, გამოვიდა ამბიონით და გააფრთხილა მღვდელს, რომ არ მოხმარებოდა მღვდელს. აქ შელაპარაკდნ მთავარი და მღვდელს, ცეცერ თრთმანეთს და ერთმა წააქცია მეორე. ქვეშ მოქცეული წიხლებს ისროდა და აღსავლის კარები გასტეხა; ხალხი შიშით ვერ მიეკარა და ვერ გაშველა იგინ. ამისათვის ხან ერთი იყო ძირს და ხან მეორე და ბოლოს როგორც იქნა გშველდნ. ამისთანა საქციელის ჩამდენი მთავარ ლიაკონი დათხოვილ იქნა სრულებით და მონასტერში იყო მოსაწინებლად გაგზავნილი. დღეს შევიწყვეთ, რომ ეს მთავარ-ლიაკონი, რომელიც სასჯელის ადგილდან გაქცეულად მღვდლად უკურთხებიან და აფხაზების მოსაქრისტიანებლად დაუნიშნავს. ამისათვის კონსისტორია იხოვს პასუხში მისცეთ მაკურთხეველი და თვითონ ნაკურთხი მთლად დათხოვეთ.“ დიალ, არა თუ ათი საქმე ეს ერთი საქმეც სრულებით საკმარისია, რომ შეადგინოს კაცმა მსჯელობა, თუ როგორ გაადვილებულია მღვდლათ კურთხევა საქართველოში და როგორი

მღვდლები უნდა იყვნენ მრველში. არ იკითხავთ, ბ. „დაკარგული“, ვინ ბრძანდებიან ეს მთავარი და მისი მაკურთხეველი? მთავარი გახლავსთ ტომით რუსი რიაზანის ეპარქიიდან და მაკურთხეველი გახლავსთ ყოფილი აფხაზეთის ეპისკოპოსი არსენი, დღეს სასახელიდან გადამდგარი. აი, ამისთანა მისორიერებს ნიშნავენ აფხაზეთში და მათშიც გრცელდება „ასე ჩქარა“ აქ ქრისტიანობის სარწმუნოება? ამისთანა კაცს თავის დროში არ აკურთხევა ის ეპისკოპოსი, რომელსაც „დაკარგული“ უსინდისოდ ცილსა სწამებს, ვითომც მას რუსები სძულდეს და თავის უფიც მოსამსახურეებს აკურთხევენ ხოლმე მღვდლად. ყ-დ სამღვდლო არსენი, რომელსაც მეტის-მეტად სძულდა ქართველები და რომელსაც ორ-კლასიანი სამეურნეო სკოლის სასწავლებლის მეტი არ ჰქონდა გათავებული, ნასწავლი კაცები სძულდა და ყველას აკურთხევა მღვდლად უსწავლელს ოღონდ რუსი ყოფილიყო. ვისი ბრალია თუ აფხაზეთის ეპარქიაში ყველა სემინარიელები არ არიან მღვდლად?.. ექსარხოხებმა ქართველ ეპისკოპოსებს წაართვეს მღვდლად კურთხევის უფლება. ყოველ მღვდლობის ადგილად მამიებულმა უნდა დაიქიროს ეკზამენი კომისიაში, რომელ კომისიაშიაც რექტორები არიან თავმჯდომარედ. ძნელად მიიღებდნენ ეკზამენის დაქერის მოწმობას მეოთხე და მეხუთე სემინარიის კლასიდან გამოსული პირები და უიარს ეუბნებოდნენ მღვდლად კურთხევაზე, მაგრამ ექსარხოხები კი სრულებით უსწავლელ რუსის გლეხებს ადვილად აკურთხებდნენ მღვდლად და ნიშნავდნ საქსარხოხოში. ამისთანა უსწავლელი პირების მღვდლად კურთხევისათვის ვოსტორგოვი და სინოდი ჩვენ ქართველ მღვდელმთავრებს ამტყუნებენ. ბევრია ნაკურთხი სრულებით უსწავლელები მთავრებლად შეწირულებისათვის 400 — 600 მანეთით. შეწირულებისათვის კურთხევა დაიწყა განსვენებულმა ექსარხოხმა იონიკემ, ბოლოს კივისი მიტროპოლიტმა... იგი ხუთას და ექვსას მანეთობით ართმევედა მთავრად კურთხევისათვის და ამ საშუალებით ბერი ფული შეაგროვა ეპარქიალური ქაღაბის სასწავლებლისათვის თბილისში. ის თანხა, რომელიც მან შეიტანა დიდი მთავრისას ოლგა თეოდორეს ასულის სახელით 16 სტაბანდის დასაარსებლად თფილისის ეპარქიალურს სასწავლებელში ამისთანა შეწირული ფულდებით იყო



უმთავრესად შეკრებილი. ერთს ვისმებს პის—ნოვს სოფლის ერთ კლასიანი სკოლა ჰქონდა გათავებული, მისი კურთხევა მღვდლად ვერაინ ვერ გახდა, მაგრამ ექსარხოსმა აკურთხა იგი და დიდი მრევლიც უბოძა. ცნობილმა ვოსტორგოვმა ოსტატურად უსწავლელი პირების მღვდლად კურთხევა მიაწერა ქართველ მღვდელთმთავრებს, როდესაც უმეტესად ივინი ექსარხონებისაგან არიან ნაკურთხნი! აი სწორეთ ამაზე ამბობენ: მაზბელმა ცული სიქმე ჩაიდინა და ურია ტყუილად დასაჯესო!.. შეიძლება იტყუოს კაცმა, მაგრამ ასე ურცხვად? სწორეთ შეუძლებელია!

„ღიღი ხანი არ არის მას აქეთ რაც აქაურებსა და ვორონცოვის რეგიმის გულის მოსაგებად, თითქმის სრულიად იქმნა გაძევებული აქედამ ერთ ერთი თვალ საჩინო რუსის მოღვაწე კავკასიის საეკლესიო ცხოვრებაში, მღვდელი იოანე ვოსტორგოვი, ტალანტის მქონე ორატორი, ენერგიული და შორს გამჭკერტელი კაცი, დაუღალავი მემბროლი თან და თან გაძლიერებული „სტუმბიტების“ მადითა (აპეტიტამი). კავკასიელი პოლიტიკოს—ანფოროსნები ვოსტორგოვში ხედავენ სერიოზულს მტერს რომელიც არ უთმობდა არავითარ საწინააღმდეგო სახელმწიფოს ინტერესებისათვის კომპრომისებს, „წაათრებს“ თუ არა აქედამ ვოსტორგოვი დაიწყეს მის თავზე ლეფის გადასხმა. ხუცებმა ქართველ ნახევარ-ნაციონალისტებმა, „შეგებულმა“ და თავისუფლების აღმადგენელ კლიაუზნიკებმა, ქართველ მესამე ელემენტის მეთაურებმა, ყველა ამ თბილმა კომპანიამ დაუწყეს ჯეჯგნა ვოსტორგოვსა, შესთხზეს მასზე ის რაც არ ყოფილა. ვინაღაც კავკასიელ „ნახალმა“ ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით ფანტაზურად შეთხზულის ზღაპრებით შეეხო მის პირადობას. ეს კიდევ ცოტაა, როდესაც გაიგეს ქართველმა ხუცებმა ქუთაისში, რომ ვოსტორგოვი, როგორც დაწვრილებით და ასე ვსთქვათ ყველაზე უკეთესად მკოდნე საეკლესიო საქმეების მდგომარეობისა კავკასიაში, მოწყვეტილია საქართველოს ეკლესიის შესახებ კომისიაში მონაწილეობის მისაღებად (კითხვა უარყოფილად უნდა გადაწყდეს, რადგან რუსეთის მთავრობას არ აქვს უფლება ნაციონალისტების ხელში სათამაშო გახდეს, იმ ნაციონალისტებსა, რომელნიც საზოგადო სახელმწიფოს სარგებლობის და სალი მოსაზრების წინააღმდეგ მიდიან), გამოუცხადეს დეპეშით უწ. სანოდს პრა-

ტესტი ვოსტორგოვის დანიშვნის წინააღმდეგ და ამასთანავე აცნობეს სათათბიროს თავ-მჯდომარეს იმ „შევიწროების შესახებ, რომელიც მიადგა მოაზრობის მოთხოვნილებებით სამღვდელთმთავრებს უკანასკნელ დროს საქართველოში“. ძირს ვოსტორგოვი! არ გვინდა! გაჰკვირიან ქართველი ანფოროსნები, მაშინ როდესაც საქართველოში ყოფნის დროს როგორც შკოლბის გამგეს ვოსტორგოვს დიდი ღვაწლი მიუძღოდა და კეთილად უნდა მოეგონებიათ. იმან გახსნა ორასამდე რუსული შკოლები; მისპო სისტემატიურად საქართველო სამღვდელთმთავრების ცდა ივინის, სეანების, აფხაზელების და სამუხაყანელების გაქართველებისა; გახსნა შკოლები და თვითან აკურთხა ეკლესიები სულ ყველა ამიერ კავკასიის რუსის სოფლებში, ზოგიერთ ამ სოფლებს სამოცი წელიწადი არ ჰქონიათ შკოლები (მაგ. მიხაილოვკა, ღაგოდები, ცარსკიე კალოდეები სიღნაღის მაზრაში ტფილისის გუბერნიისა, არ ჰქონიათ შკოლები არც ერთ რუსის სოფლებს მაქის და ვაჯჯის გუბერნიებში) და გახსნა თორმეტი შკოლა სომხებისთვის ოცე შკოლა ოსებთათვის, პირველი საქალბო ოსური შკოლა; მარტო ტფილისის ენარქიაში სამრევლო შკოლების რიცხვმა, სტატისტიკურის ცნობებით, იმატა 198-დან 350-მდე. მაგრამ ვოსტორგოვს სულითა და გულით სურდა რომ რუსეთის ხალხი სტუმრები კი არ ყოფილიყვნენ სამოწყალობ გაზადარი, არამედ ნამდვილი პატრონი ამ მხარისა. ვოსტორგოვი წინააღმდეგობას უწევდა კავკასიელ ნაციონალისტების სეპარატიულ მისწრაფებათა, — მშასადამე—ამ დროს მიხედულობით ძირს ვოსტორგოვი თორემ ვოსტორგოვს სიკვდილიც მოელოდა კავკასიელ განმათავისუფლებელთა ჩვეულების მიხედვით!“

რუსული ანდაზა არის, იტყუე და იცრუე, მაგრამ საზღვარი იკადგო. სულმდაბალი და ზნე დაცემული კაცი რამდენიც უნდა აქო და ადიდოს მისიცი ვერ გასწარებდა. დაკარგული ძლიერ მაკადინობს რომ ბ. ვოსტორგოვი ანგელოსად გარდაქციოს, აქებს და ადიდებს მის მკვირვრეტელობას და მიმხედვრობას. მაგრამ რამდენიც უნდა აქოს და ადიდოს არა თუ დაკარგულდება, არამედ დიდებულებმაც ერთი ოცისოდენა მის ზნეობას ვერ აღამალებენ. მის განიერებაზე გამკვირბობაზე



და მის მიზნდრობაზე არც ჩვენ ვიტყვი წინა-
 აღმდგეს, მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ იმაზე
 მეტად მკოდნვა ეშმაკი, მაგრამ, რადგან
 ეშმაკი ზნეობით დაცემული არაინ არ აქებს და
 არ აღდგეს მას. საქმეა და სადღებელი კაცი,
 როდესაც იგი აღქურვილია ქრისტიანობრივს
 სიყვარულით და სიმშვილით. როდესაც კაცს სძულს
 მოყვასი და თანამომე იგი ეშმაკის ბუღა და
 ბოროტი სული ბუღობს მასწინა. რაც უნდა მქე-
 ვრმეტყველი იყოს მქადაგებელი, რამდენი სკოლე-
 ბიც უნდა ვახსნას მან, რა გონებაც უნდა გამოი-
 ჩინოს თუ სიყვარული არა აქვს ფუჭე არის ყველა
 მისი მოქმედება. ბ. დაკარგულია, ანა მიგვიითე
 ერთი კუთხე, ერთი სასწავლებელი სადაც შეხვედ-
 როდეს მსახურება თქვენგან ქებულს ვოსტორგოვს
 თუ ერთ პატრიონ კაცს ნახათ რომ მისი მადრიე-
 ლი იყოს და იმაზედ კეთილი სიტყვა ვითხრას.
 ჰკითხეთ ჯერით იმ სემინარიის მეუფროსეთა სადაც
 სწავლობდა იგი და მოინანიეთ ანა რა ვითხრან მის
 ყოფა ქცევაზე? ჰკითხეთ ამ სასწავლებლის უფრო-
 სესს სადაც მსახურებდა იგი რუსეთში და შვიტყო-
 ბთ, რომ იგი იძულებული იყო კავკასიისკენ გამო-
 ქეულიყო და სამშობლო მიეტოვებია. ჰკითხეთ
 ელისავეტბილის გინანაზის მოსამსახურეთა და მას-
 წავლებლებს რას ჩაიღოდა იგი იქ და როგორ იძუ-
 ლებული შეიქმნა თფილისში გამოქეულიყო. შე-
 იტყეთ ვის დახმარებით ვიდრის თფილისის ქაე-
 ბის გინანაზიში სამღროთა სჯულის მასწავლებლო-
 ბას? რა მიზეზით ვახდა იძულებული გაქეულიყო
 ამ სასწავლებლიდამაც? შევიტყეთ კარგად თუ
 რა ოსტატობით, რა თვლოთმქეობით და ერთი
 დიდი პირის დახმარებით როგორ მოქეცა თავში სა-
 სულიერო მართებლობას საექსარბოსოში. ბოლოს
 ექსარბოსის დახმარებით ხომ ზეცას აიყვანეს და
 შთელი დაწევაბუღებანი და თანამდებობის პირები:
 კანტორა, კანცელოარიები და ევისკოპოსებიც მას
 დაუმორჩილეს! დაუმორჩილეს ისეთ კაცს, რომელსაც
 ქრისტეს ნანდღრძევი სიყვარული არა ჰქონდა, და
 ამისათვის მისი სიტყვა იყო მხოლოდ ღღერა რვა-
 ლისა... მისგან შედგენილი პრექეტებით სხვადასხვა
 კანონმდებლობანი! დამტკიცებულნი სინოდისაგან
 არც ერთი არ მოსულა სისრულეში, როგორც
 უვარგისნი. მისგან ვახსნილი სკოლები ქაღალზე
 არსებობენ და ნამდვილად კი საექყო. მართალია

ვოსტორგოვი ახალ დაარსებულ რუსის სოფლებში
 ხსნიდა სკოლებს, მაგრამ ქართველების სოფლებს-კი
 არას აღირსებდა. ცხადად ხსნად და ხსანს ყველა
 სათვის, რომ ვოსტორგოვი ემსახურებოდა აქ პო-
 ლიტეკს და არა სასარგებას. ამიტომაც ის თავის
 სამსახურით ძირს უთხრიდა სარწმუნოებას, კეთილ
 ზნეობას და ქართულ ეკლესიას. ის ურცხვად
 უზენებდა პეტერბურგდან დიდი პირების მოწერილ
 ბართებებს და იკვებოდა, რომ მას არ ეშინია არავისი
 რა საძალოაბაც უნდა ჩავიდინოვო!.. ასე გათამამე-
 ბული ვოსტორგოვი ჩაიღოდა დაუსჯელად კიდე
 რაც სურდა საქართველოს დასქეცვად. რასაკვირ-
 ველია საქართველოს მტერნი ვაშას შესახებენ ამ
 ცბიერ კაცს, მაგრამ ვისაც ქრისტე სწავს იტყვის:
 შორს ჩვენგან ბოროტო სული! ბოლოს იძულებ-
 ბული იყო აქედანაც გაქეულიყო, რადგან იქ
 დასადგომი პირი არა ჰქონდა. მაგრამ მთავრობის
 მოწყალეობით ტყუილად წლის ჯამაგირი და სხვა ფუ-
 ლეცა უკანონოდ წაიღო.

დაკარგული ამბობს, რომ მკოდნე, გამჭრიახე
 და მოღვაწე კაცი იყო ვოსტორგოვი, ამასთან
 მიზნდური კაციც იყო ეკლესიის საქმეებისაო. დი-
 და, ამიტომ იყო დანიშნული სინოდისაგან კან-
 ტორაში. რასაც ბრძანებდა კანტორაში ყველაფერი
 ვაუდიოდა. რა ვაკეთა კანტორაში მან? დიდი საქმე
 ვაკეთა! ამისთანა მკოდნე, გამჭრიახე დამიზღური
 კაცის ხელში გაიფარნა ორას ორმოცდა ათი
 ათასი მანეთი სინოდის კანტორაში მცხეთის ტაძ-
 რის შესაკეთებლად შეწირული და სხვა ფულები
 საბარლო სამღდღელოებისა. ფუი, ამისთანა გამჭრია-
 ხობას და მოღვაწეობას! ვაი რუსეთის სახელმწი-
 ფოს ბრალი ამისთანა დაკარგულებს და ვოსტორ-
 გოვებს სჯელს! რა ბედნიერებას უნდა ეღრისოს
 იგი ამისთანა ფარისებების ხელში? სიყვარული,
 სიმართლე მშობა, ერთობა და მშვიდობა მათთვის
 კიტრად არა ღირს და იქ სადაც სიყვარული და
 სიმართლე არ არიან, იქ ბნელე და არასოდეს
 კეთილს არაინ უნდა მოელოდეს...

უკანასკნელად დაკარგული ამბობს.
 „და აი კიდეც სხვა-და-სხვა კირონებისაგან ნა-
 კრთობი და ჩავონებული ქართველი მღვდლები
 თოვიან ფეხებიანათ ჩავფლენ ნაციონალურ—პოლი-
 ტიკურ ინტრიგების ქაობში და სწრაფათ, ხელის
 შეწყობით მიჩანჩალებდენ მიწისაკენ ჩვენის გათახ-



სირებისა და მართებლობის ძალის გამოლოცობის წყალობით. კითხვა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისა, ვიმეორებ, არის კითხვა არა ეკლესიური, არამედ წმინდა პოლიტიკური და იმის ერთის კალმის მოსმით გადაწყვეტა არ შეიძლება ისე როგორც არ შეიძლება დამყარება ქართველ ლამენტარებისა, რომელიც დარწმუნებული არიან მთავრობის ძალების დაქაჩვაზე და რუსეთის გულ-კეთილობაზე“.

ჩვენ ვიცნობთ დაკარგულს. იგი ნამდვილი შეილია მამისა! მემკვიდრეობით აქვს დატოვებული მამისაგან ცილისწამებით, ლაქუცობით სიცრუით და ბეზლობით შეირჩინოს თფილი ადგილი, და უკეთესი ადგილის ღირსიც გახდეს. დიად, ხშირად მიაღწევენ თავის სურვილს ამისთანა ბეზლობითი წერილების წერით. ამისთანა მწერლებმა ავტოკეფალიის არაფერი არ იციან და არც ესმისთ. დაკარგულიათვის ავტოკეფალია მხოლოდ საბაბია სალაპარაკოდ, რომ ამ ნიადაგზე გამოაყოს თავისი ბეზლობა, თორემ რა არის ავტოკეფალია იმან სრულებით არ იცის; მისი ხელობა არის აბრეშუმის ქიების საქმე და არა ეკლესიის ავტოკეფალია. კირონის ერთგულება და კრძალულება რუსების შესახებ ჩვენში გასაკვირველი იყო, მაგრამ ესლა გვანებ ისიც დარწმუნდა რომ ფუქეა ყოლედი ერთგულება იმისთანა ხალხთან, რომელსაც ქრისტიანობრივი სიყვარულობა არა აქვს და მხოლოდ ბატონობაზეა დაყრდნობული ხალხის ცხოვრება, სარწმუნოება სასოება სენიდიისი და სიყვარული.

სოფლას ხუტკის.



**საჩარხელოს სამფადლოების წაჩილი მთა-
ბაჩ მისისოკოს ნიკონისადმი. †**

მრავალ ტანჯული, ჯვარის მტვირთველი და ავტოკეფალური ივერიის ეკლესია, ღვთის მშობლის ხედრი, წმიდა მოციქულთა ანდრია პირველწოდებულის, სიმონ კანანელის და წმიდა მოციქულთა სწორის ნინოს მიერ დანერგული, გიხობის თქვენ, თქვენო მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობავ: „რაისათვის მოდიხართ ჩვენდა მომართ?“ თქვენ, როგორც მართლ-მადიდებელ ეკლემ-

სიის მწყემს-მთავარმა, კარგად უნდა იცოდეთ საღმრთო კანონები, რომელიც მწყემს-მთავარს უკრძალავენ უცხო, მისგან დამოუკიდებელ. ეპარქიის საქმეებში გარეყას. თქვენ კი, მაღალყოვლად უსამღვდელოესო მეთუფო, მოდიხართ ეკლესიაში, რომელიც მსოფლიო კრებათაგან ცნობილია, როგორც ავტოკეფალური, რომლის თავსაც კათოლიკოს-პატრიარქს, აღმოსავლეთის პატრიარქნი მუქან ათავიანთ თანასწორ პატივით იხსენიებენ. თქვენი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა უტყველად გვიასუხებს ჩვენ, მიგაღებებს დანიშნულება ესე არა ნებითა მარტოდენ თქვენითა, არამედ ნებითა და აღრჩევითა, თუმცა არა კანონიერ რუსეთის სინოდისათა. მაგრამ რუსეთის სინოდს აქვს განა უფლება გზავნის როგორც მოცუსრება თავისი ეპისკოპოსები ექსპარხოსნებთ და უფროსებთ ისეთ ადგილებში, რომელიც მას არ ექვემდებარება კანონების მხრივ და განაწეროს ისინი ისეთ ადგილების მწყემსმთავრად, რომელთა ენა მას არ გავგება? შეიძლება თქვენი მაღალყოვლად უსამღვდელოესება იმით ამართლებთ თქვენ დანიშნვას, რომ საქართველოს ეკლესია 1811 წლიდგან რუსეთის სინოდს დაემორჩილა? მაგრამ ეს თქვენ არ გაძლევთ არავითარ საფუძველს იყოთ თავი იმ ეკლესიისა, რომელიც თქვენ არა გცნობთ, და რომელსაც არ აურჩევიახართ. 95 წელიწადია რაც საქართველოს ეკლესია რუსეთის სამოქალაქო მთავრობის მოუხებით ყელ გამოპრილი გდია; მისი გონება გატაცებულია, მრავალ საუკუნოებითი სამწყემსმთავრო ადგილები გაუქმებულია, მონასტრები, ოსებს საესენი მოღვაწე მონაზნებით, ან სულ დაცარიელებულია, ან ძლივ სულს დაფავს, სასულიერო სემინარიებმა და სასწავლებლებმა, რუსების მთავრობის და მასწავლებლების მეოხებით, რომლებიც დასცინიან ქართულ სიწმიდეს, ენას და ჩვეულებას, მწყემსების მაგიერ გამოგვიზარდეს, ურწმუნოები, ანარქისტები და მტრები მართლმადიდებელ ეკლესიისა.

მოუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეკლესიის კრებული ერთგულია სამშობლო ეკლესიისა და ბევრიც სწუხს ეკლესიის ამ რიგად დაქვეითებაზედ, მიანც ძალა აღარ შეგწევს, თვინიერ შეწვენითა ღვთისათა, ავლორძინოთ ეკლესია, დაცემული და განადგურებული და უკიდურესობაზედ



საქართველოს
რესპუბლიკის
ქვეყნული
ბიბლიოთეკა

მეყენილი მისთვის უცხო ექსარხოებისაგან. ამიტომ საქართველოს ეკლესიის სამღვდლო კრებულს და მართლ-მადიდებელ ერს გადაწყვეტილი აქვს გადაიგდოს თავიდან მშვიდ უღელი ექსარხოების ბატონობისა და აღადგინოს დიდებით და პატივით მოსილი სამოციქულო ეკლესია. ამისთვის ჩვენ გვხოვთ, თქვენო ყოვლად უსამღვდლო-სობაზე, ნუ მიიღებთ უფროსობას იმ ეკლესიისას, რომელიც კანონით არ ექვემდებარება რუსეთის სინოდს და ნუ დაარღვევთ იმ საეკლესიო კანონს, რომელიც როგორც ჩვენ, ისე თქვენც ვალდებულს გბლით დაიცვით და დაიფარით და არა დაარღვიოთ და მით აღამხედროთ თვისს წინააღმდეგ ჯერ კიდევ ბართლმადიდებლად დარჩენილი ქართველი ერი.

თუ თქვენ, თქვენო მაღალ ყოვლად უსამღვდლოესობაზე, არ დაიშლით და ძალად მოხვებით ისეთ სამწყსოში, რომელსაც თქვენ არ ეკუთნით, მაშინ ქართველი მწყემს-მთავრები და მწყემსები წინაწინვე ხელს იბანენ და პასუხს არ აგებენ იმ, შეიძლება, ღიდათაც საწყენ შედეგისთვის, რომელიც მოყვება თქვენს ძალით ჩვენთან მობრძანებას. მწყემსი კეთილი მოვალეა, თუ საქარობა მოითხოვს სული თვისი დასდვას ცხოვართათვის, მაგრამ საქართველოს სამწყსო თქვენთვის უცხოა. თქვენს მაღალყოვლად უსამღვდლოესობას, ვფიქრობთ, ძლიერ კარგად უნდა ესმოდას, როგორ მოიქცევიან ცხოვარნი, როცა მწყემსი მოდის არა კარით კერძო, არამედ მალვით, რათა წარწყმოდოს და წარიტაცოს ცხოვარნი სხვისნი.

(С.-Петербург. Вѣд.)



ხმა ღვთისა—ხმა მარისა.

ოცდა თექვსმეტი წლის ვიქნები და ზემორე სხენეული სიტყვები ხშირად მესმოდა ხოლომე, მაგრამ პირდაპირ გამოცდილებით დარწმუნებული არ ვიყავი. დღეს-კი, მადლობა ღმერთს, თვლით ვიხილე და დარწმუნდი. ვისაც არა სწამს ეს მიბრძანდეს ს. თერეოლაში კითხოს სამას კომლ კაცს და ისიც უთუოდ დარწმუნდება. მოგეხსოვრება ნამდვილ შემთხვევას: წარსულ 1904 წელში ოთხი ქვევა

ნახევარი ყანა მქონდა თერეოლაში ორ გლეხილილუაშვილებზედ მიცემული, რომელშიდაც მოდიოდა თერემეტი ხელა სიმიდი, შვიდასი კონა ჩალო, თავს ლობო-კვხით, ე. ი. ისინი ყიდულობდნენ ჩემგან ცხარ-რვა ხელა სიმიდს, ოთხას კონა ჩალოს და სხვა წვიარმანს ოთხ თუნად, და შემდეგ 1905 წელში, როცა ღიდი მოძარაბა შეიქმნა ჩვენში ზემოხსენებულნი გლეხნი მოვიდნენ სამრევლოში (სამრევლო ჩემი არის ქუთაისიდან 8—9 ვერსზე ოკრიბის საბლადონოში, მაშული და სახლ-კარი კი მაქვს თერეოლაში თითონ მუშების ხელში) მითხრეს: ყანების აღებას გვიშლიან ჩვენსა და თქვენს გარეგებულ ფასებში და როგორ მოვიქცეთ არ ვიცითო; მეც უთხარი: რამ შეგაშინათ, მე მაგაზე სრული თანხა ვარ და გავეცი ყანები, ან კი რა მქონდა გასაცემი, თუ საშახური ჩემ სოფელში მქონდა, ოთხიდან ექვს მანეთამდის ქცევა, რაკი ასე იოლად გავეცი, მომავალის მოსავლისთვის ყველამ მოინდომა ნამეტურ ამ ყანის აღება, რადგან ჩემ ადგილებში ამისთანა მოსავლიანი ადგილი არა მაქვს; ერთი გლეხი გიორგი ღილუაშვილი, როცა ჩემის მოჯამაგირით ოთახში ვიყავი დამე, მოვიდა ჩემთან და მომიტანა თერთმეტ-თერთმეტი მანეთი ქცევაზე და მითხრა, ამას აქ არავინ არ უყურებს მე და თქვენს და ამ უცხო კაცის მეტი, მიიღეთ ეს ფული და ადგილი მოემციო მე. მე უარი უთხარი, გლეხებმა თითონ წაახდინეთ საქმე, საკავო თქვენ დააწესეთ, ყანის მიტანაც და მეტი ფულიც, თორემ რა სინდისი გაძლევს შენი ამხანაგების ღიდატს მეთქი. სასირცხოა შენი ესეთი საქციელი-მეთქი. ეს კაცი გამშორდა. ეს მერე ყველას უთხრა იმან. წიფობის-თვეში ორი მუშა, რომელნიც ჩემი მუშები არიან მოვიდნენ და მითხრეს, ჩვენ გავიგეთ „ღიდი ყანა“ სასურეთ გითქვამს და თუ მოვეცემ კარგი წიფობა. მეც ნება მივეცი შემდგვის პირობით: ორი წილი ხომ თქვენია ერთი ჩემი, ერთ მესამედში ყოველივე ხარჯი ნახევარი სათესური, ხარი, კაცი, მოჭრა-გალეწვა ჩემი იყოს და მოსავლის ნახევარი თქვენი და ნახევარი ჩემი. დამეთანხმენ. ვიყიდე ყოლიფერი, ხარიც ვიჭირავე და დასთესეს ამ მუშებმა ყირიმული პური. წარსულ ივნისის 27-ს მოგსპერით საზიარო პურა, რამე საინტერესო იყო, ას-ორმოცი ძნა წყნელში გამოკრული რომლის აწვევა ვაქცას უჭირდა და დავსდვით ურმოულად გლეხის ღუარაბა



ლილუაშვილის სახლის მახლობლად ექვს საყენზედ, ყანის ნაპირზედ და მე-კი გაუდგეტი ჩემ სამრევლოს და მოზიარეს უთხარი ლეწვის დროს შემატყობითმეთქი. ყველა მიმადლოდა და უხაროდა მშვენიერი წესი შემოიღეო. 16 წარსულ კვირკობისთვის სალამოს, ადრე მისულა ვილაცა ვაჭბატონი, როცა იქ არ ვევეულბოდი და არც მოზიარენი იყენენ, მოუკიდებიათ ცეცხლი. ამ დროს აღნიშნული ლუარასაბა ლილუაშვილის ცოლი გაიანა ყველას ეუბნებოდა თურმე „მე ნამდვილ ვისუფრ ბერდენიანები მოვიდენ წაუკიდეს ცეცხლი და თქვენ გვეგრით თუ გამოაღითო. მთელი სოფელი ისე შეშინებულა, რომ ვარეთ არაიენ გამოსულა. ამ დროს მოზიარენიც, მუშები მოსულან და იმათთვისაც ასე უთქვამს ამ დედაცაც და უჩვენებია ქალადლი, რომელზედაც დაჯღანნილია ქალურის ხელით შემდეგი სიტყვები: „ამ პურის მებატრონე გაჭოლდი, ახალი თაობა მერკობაძე“. ეს მუშებაც შეშინებულან და წასულან შინ ტირილით და ჩემი ცოლ შვილის ტირილი და წუხილი ხომ ზეკით ლმერთს ესმოდა. ოცდა ერთს იმავე თვისას წამოვედი სამრევლოდან შინ, ქუთაისში ვითომ მითხრეს და მართლაც მითხრეს ნაცნობებმა, თურმე მიპალადენ და მე რაკი ყური მოვკარი ცეცხლით დაეწვათო, ამის მეტი არაფერი არ გამიგონია, გადაესწყვიტე, ბავშვები მყავს ნამეტანი ცელქი, ვთქვი თუ ბავშმა ბავში ცეცხლში ჩამიგლო ამ ტყემლის კეთების დროს და ან ცხელი წოთი ბავშმა ბავში დამიდულრაქო; ბოლოს დადასტურებით მატარებელში მიიხრა ერთმა ღვთისნიერმა ადანიანმა ყოველივე და მითხრა ბავშვები კარგათ არიან პური დაწვათ და ვინ დასწვა ჯერ ვარ გაიგესო. პურს არ დავემბე ბავშვების ცოდა თუ არ დამეგდა მეთქი. მივედი შინ, ფიქრი კიდევ ბავშვებზე მქონდა და „იქით აქეთ რომ იყენენ ეზოში გაფანტული გარდა აკენის ბავშვისა სათითო-ლოდ უკვირებოდი, ხომ დამახინჯებული არ არიანთქო. არ გასულა ორი საათი და ოცი, ოცდაათი კომლი შეიკრბენ დამწვარ პურის ადგილზე და შემომითვალეს მუშებმა წამოდიო, მეც გავედი კალოზე, შევხედე 16 კვირკობისთვის მოკიდებულ პურს ცეცხლი უკიდია 21 რიცხვამდე. მითხრეს მეზობლებმა, მამაო, გლახა საქმე მოგვივიდა და რა ვარჩიოთ არ ვიცითო; მე მათ მიუბრუნდი და უთხარი, რომ წაგახდინათ ასე სამოცი კომლი, რომ

ეს პური ვერ გადაარჩინეთ. მე თუ არ გებრალბოდი, თქვენთვის მიანც წაიღებდით, მაგრამ თქვენც, მონაწილენი ხართ, თორემ უშეველად გადაარჩინდით. ჩვენც შეგვაჩერა, ბატონო წერილმა; მითხრეს, რომელიც თქვენ მოზიარებეს აქეს ხელში; მომიტანეს, წავიკითხე და დაეწმუნდი, რომ ახალი თაობის მომხრეობა არაფერ შუაშია. ვი იმ ახალთაობის ბრალი თქვენ ხელში და იმ საწყაილ მერკობაძისა, თქვენ ახალთაობის არაფერი არ გაეგებათ და არც არაიენ ახალთაობის კაცი მოყვანილ ღვთისა და კაცის ლეუქმას არ დასწვამს და კაცის გასწორებას კი ფიქრობს, მაგრამ აქანა ახალთაობა მე არას დამიშვებდა და არც ის მერკობაძე, რომლის გვარი ვილაკას ზედ დაუჯღანნია. აი ახლა კი სრულიად დავრწმუნდი რომ თქვენ წამხდარხართ და ვაფუქებულხართ და იმ ახალთაობის სახელსაც აფუქებთ, სწვამთ მტრობით ერთიერთმანთვის და მიაწერთ ახალთაობას! თქვე კი კაცებაო, ხუთი წელია, სულ იმას მუშენებთ ჩვენთან გადმოდი მღვდლადო და ღმერთმა დამიფაროს, თუ თქვენ ამნაირად შეიგნეთ ახალთაობა, ახალთაობას კი შეეძლო ჩემი მოძებნა, პასუხის მოთხოვა თუ რაიმე მიზნზე მქონდა და არა ამ საცოდავი სურათის ჩადენა, მაშინ მითხრეს, აქ გვევი გვაქვს პირველ ამ ახლო მოსახლეზე და უშეველად უნდა დავაფი. ცოთ და თუ არ დაიფიცა მაშინ უნდა გადავსეთ სააბჯრის წმინდა გიორგიზე მქნელი და ჩვენ თავი უნდა ვიპართლოთ თუ ეს საქმე ახალთაობის არ არისო. მე უთხარი რაც შეეებოდა, მე თქვენ ავისუნით, რომ ეს სოფლის მოლაღატისაგან არის და არა ახალთაობისაგან, ფიცისა და გადაცემის შესახებ კი ამას გეტყვით, თუ იმას ღმერთი და ხატი წამებოდა ის ამას არ ჩაიდენდა. დარწმუნდით ის ან თითონ მოიხმარდა და ან სხვას მოახმარდა, ნხოლოდ გაძლევ პატიოსან სიტყვას ღმერთთან და კაცთან, თუ კი თქვენ შორის ამის მქნელი ორი დღის განმავლობაში მოვა და აღსარებით მეტყვის თვის სახიზლარ მოქმედებას, მე ყოველივე ექვს თქვენ შორის მოვსპობ და იმ ჩემ ორ მოზიარესაც, ვალი რომ ავიღო დაეკამყოფილებ, და ჩემ პურის დაწვას ჩემი და თქვენი ქირი წაუღია. ამ სიტყვებმა ხალხი უმფრო ააღლდა, შეაწუხა, მადლობა გადამიხადეს და წავიდენ შინ. ეს გახლდით პარასკევი ოცდა ერთი ივლისი. ვავიდა ორი დღე, და



ლამა კვირის საღამო, მომაკითხეს აღიარა ვინმემ თუ არაო, მე შეუთვალე მათ რომ არაგინ მოსულა. მაშინ ვაგზავნეს დამკლის უფლები, მუშებმა გამოასვენებინეს სასწაულოთ მომქმედი ხატი იმ ცეცხლის ადგილზე; ოცდა ათ კომლამდის ქალი და კაცი მისულან. მე არ დავსწრებივარ. ერთ მუშას ნიკოლაზა ლილუაშვილი დაუვინებია ხატი სადაც ცეცხლი იყო კიდევ კვირას 23 ივლისს დაუწრებია მის წინაშე დაუქვლია ორივე ხელები და უკან დაუბრუნებია ამდენი ქალი და კაცი და შეტყვევინა ერთად ხალხთან; ვმინდაო გიორგი საამჯრო, ჩემი ცხრა თვის ნამუშევარი ვილაცამ დასწვა, პირჯვარს შენ წინაშე ვეღარ ვიწერ, სანთლის ფული აღარ მაქვს სანთელი აგინთო, მაგრამ არ მპარა სანთლად ორასი ბათიანი ხორბალი შენს წინაშე იწვის, და თან ჩხრიკამს ცეცხლს თურმე, ცრემლები მოსდის და ტირის, ზედაშის სეპისკერის დამწებებელი ქრისტე ღმერთო და მისო მოწამე გიორგი, ვინც ჩვენ ამოდენ სულს ქალსა და კაცს შენი ხორცი დაგვიწვა, მე ხომ, სულ ვერ შეეჭამდი ამ დალოცვილს, (მაშინ მთელი ხალხი ატრებულა. (განაჯრძობს ნიკოლაზა) შენ სასწაულოთ მოქმედებაზე სრული რწმუნება მაქვს, შენ შემოაუკიდე ამ სეპისკერის დამწველს ცეცხლი ისე როგორც ეს აწვის, აყვირე, აჯღაველე სანემ არ შემოგწიროს ოცი მანეთი ფულად, კურო რქა მოქვდილი, ათი ოცა სანთელი და ჩვენ საწყალ მუშებს ოცდა ცხრა სულს სამ ოჯახში, რომელიც დღეს მშობრი ვართ, არ მოგვიზღოს ორასი ბათიანი პური. თუ ვინცობაა, მე უჯნური კაცი ვეგებო ქე შევიდე ამ დამწველის ოჯახში, გამარჯვებაც უთხრა, ქუ დალოცო, მე ნუ დამანანებ, რადგან სახელდობრ არვიცი ვინ ქნა და ბოლოს შევაწუხე, ხატო ძრიელი, მაგრამ ახლა კი ვავშლი ჩემ მოკრულ დაბეგვილ ხელება, გაეპზო რები შენ და შენ ნაღამ მიწასაც, გაისმა ხალხში ტირილი, ყველამ მინი დაუცა ცრემლით და ეამბორენ ხატს. ეს გახლდათ კვირას ოცდა სამს ივლისს და ოცდა ოთხის პარასკევს ღამე შეიშალა კქუაზე ლუარსაშა ლილუაშვილის ცალი. ქალს მიუღია 1 კოლოფი მისიკის თავების განალგის თავის მოსაწმენლად. ყვირის სახალწოდ: მე (დაეწვი პური) შეველოთ, ცეცხლი მიკადება, მიშველეთ მე უნდა მოვიკლა თავი, ამ ბლანას უშველეთ ესვეწება

ქმარსა და დედამთილს, მე დავწერე წერილი, წევრეწმინდე სული; გამოაცინდენ შეატყობის მთელ სოფელს, მოვიდნენ ჩემთანაც რა გვეშველებო, მეც უთხარი ღვთისა და ხალხის საქმეა ევაჟიო. მთელ სამას კონლ კაცს მოედო ეს ამბავი, ყველა პირჯვარს იწერდა რა სასწაული გამოჩნდა, ღმერთიც ყოფილა და ხატიცო. ბოლოს იმავე ხალხმა სთხოვა, კვირას 30 ივლისს, დამკლის უფლებს, რადგან ღმერთმა და ხატმა ისმინა ჩვენი ვედრებისა, ტირილისა და გოდებისა ამოშვება უწევნოთ არ იქნეს, რადგან მეტი მოწადინებული ვართ გავიგოთ რა ინტერესი ქონდა ამ დედაკაცის ოჯახს მუშებისა და ან ჩვენი ხელშემწყობ მეზობელ მღვდლისა. კანონიერი სამართალია ღვთისა და ხალხისა.

ურწმუნონი ამას თავისებურად ახსნიან და განმარტებენ, მაგრამ რამდენიც უნდა ილაპარაკონ და განმარტონ ვერ დაამტკიცებენ, რომ ურწმუნო ხალხში დაარსდეს კეთილ დღეობა და ბედნიერი ცხოვრება. ხალხის მართვა გამგეობის არც ერთ გვარს რეემს არ შეუძლია ბედნიერება მისცეს ხალხს თუ იგი მოკლებულია სარწმუნოებას და კეთილზნეობას...

მდ. ნემსაწვერამე.

მ ა ნ ი შ ე მ ს ი

სწახსეთის შჯისა.

თქვენო ბრწყინვალეებო! ჩემო დიდებულო ვეზირო! რადგან უზენაესმა ჩამაბარა მე ირანის ბედნიერება და ჩემი წმინდა მოვალეობაა, ვიცავდე ყოველთვის ხალხის და ქვეყნის ინტერესებს, ამიტომ გიბრძანებთ თქვენ, უმაღლეს მიზანთა მისაღწევად, მოიწოლოთ სახალხო კრება, რომელიც უნდა შესდგეს პრინციებისა, სამღვდლოებისა, ეპარქიებისა, მემამულეებისა და საერთოდ, ხალხისაგან არჩეულ პირთაგან. არჩეულმა პირებმა თვირანში უნდა განიხილონ საკითხები ქვეყნის საშინაო და საგარეო ცხოვრების შესახებ და შემდეგ განხილონა შემუშავებული კანონები და პროექტები დასამტკიცებლად წარმოამდგინონ მე ჩემის ხუთის მინისტრის ხელთ. უწყოდეს ჩემმა ხალხმა, რომ სახალხო

კრების აზრი ყოველთვის ძვირფასი იქნება ჩემთვის და განსახორციელებლად ახალ კანონებისა, რომელთაც შეუძლიანთ ბედნიერება მოუტანონ ქვეყანას, მთელს ჩემს ძალ-ღონეს შევხმარა.

ვბრძანებ, გამოეცხადოს ამის შესახებ მთელს ჩემს ხალხს, როგორც ჩვენს სამშობლოში, ისე უცხო სახელმწიფოებში, რომ ყველამ იცოდეს განზრახვა ჩვენი და უფლება თავისი.

ბოძებულია სასახლეში „საიბ-გრან“; ჯამაღიალ-ხანის 14 დღისა, 1324 წელსა; ჩვენის მეფობის მეთერთმეტეა წელსა.

ნამდვილად სწორია მუშარად დოვლე.



მისენია კასთა გონების სალაროდან.

თითნი გვახსიან ქმნად და ხსნად და არა მხოლოდ ქამად და შლად.

ვკლოვებ არა იბღობას, არამედ იმ დღეს, რომელ დღესაც ვერ შევქმელ ვერც ერთი კეთილი საქმის ქმნა.

უხნეო და უზრდელი მეცნიერი უფრო უმეცარია, ვიდრე საფლოური უმეცარი.

დედ-მამის უსიყვარულო და ურგები შვილი საწამლაზე უწარესი და გვარის შემარცხვენელია.

თავადი ის კი არ არის, ვინც ბრწყინვალედ იმოსება, საკრამანგს იცვამს და ოქროს ჯოხით დადის, არამედ ის, რომელიც რაიმე საქვეყნო კეთილ საქმეს თაოსნობს.

ზნეობა ისწავლება არა უხნეო მეცნიერისა, არამედ ზნეობიანის კაცისაგან.

კაცი ის არის, ვისაც მხოლოდ შრომა და კეთილი ღვაწლი ასულდამულებს და ახარებს.

როგორც სამართებელი საღესთია, ისე ქკუა გამოტყუილებით ილესება და ზნეობა—მიბაძეთ.

არავის ვბრძანებ კაცი ძალით, ღონით და

ნიჭით აღტურვილი, თუ იგი უქმი და მკონარია.

ბატეხა და თავყანსა ვსცემ ჩემს მასწავლებელს, რადგან მას შეთვისებული აქვს სიბრწყინვალე გონებისა, სიწმიდე სულისა, სიმშენირე ზნეობისა და ზრდილობისა.

რაკი ადამიანი წარმოიდგენა, რომ სიციცხლე უღიდესი მადლია, იგი ამცირებს თავის სულსა.

თუ რომელსამე ქალაქში ბევრი მეკანონე და მკურნალია—ეგ უტყუარი ნიშანია, რომ ის ქალაქი ავად და ურიგოდ არის მოწყობილი.

ქეშმარიტი გმირი თავის დღეში გმირად არა ჰხდის თავის-თავს და სწორედ ამაშია მთელი სიდიდე გმირისა.

ყველაზე საზიზღარი და გულიდამ ამოსადები ნახევრად პლუტი კაცია. ძნელად გაუგებ რაში ტყუის და რაშია მართალი. ტყუილსა და მართალს ერთმანეთში ურევს და მით სცდილობს ტყუილი მართალს დაამგვანოს.

რაც უნდა დიდი უბედურება შეგვემთხვეს, ყველას გავუძღებთ, თუ უბედურებას სინდისის ქენჯნა არ მოსდევს.

რაც უნდა კეთილ-გონიერი კაცი იყოს, თავის სურვილს ვერ გაუბატონდება, მაგრამ თავის საქციელის ბატონი კი უთუოდ უნდა იყოს.

მარტო შრომას შეუძლია დაღვსოს ცარილობა და სულისა.

პირ-მოთნეობა ნაღმა ბიწისა, სათნოების ქვეშ გათხრილი, რომ სათნოება პირველ დაამზოს.

პირ-წყლიან ღმერთს-მეტყველს სიტყვას ასლად თქმული სჯობიან. ქკუა-მოკლე კაცის თვისება ის არის, რომ განადიდოს ის, რაც დიდი არ არის, და დამციროს, რაც დიდი.

სათნოება არა სჯერდება არც თვალდობას, არც სიტყვას: მისთვის საუბროა მხოლოდ საქმე და მოქმედება.

წუთი სოფლის სუფრაზე დაჯექ და ნუ დაბე-
ჯინები.

სასტიკად დასაჯე შენი შვილი, როცა ნახო,
რომ ქიასა ჰკლავდეს: აქედამ იწყება კაცის კვლა.

რამდენადაც სიტყვა-ძვირია კაცი, იმოდენად
ნაკლებ სისულელის მოქმელია.

სიმდიდრე მსახურია კვიანისა და ბატონი სუ-
ლელისა.

თუ მადლი ჰქმენ და გააზღვდენ, სჩანს ნაქმარს
მადლს უკანვე თხოულობ.

ხარისხი აუპატიურებს მას, ვინც მისი ღირსი
არ არის.

ბოროტია იგი, ვინც კეთილია მარტო თავი-
სათვის.

ვინც ხელს უწყობს დამნაშავეს, იგი ერთი
ორად დამნაშავეა.

უქმად ყოფნა ჭანგია სულისა.

თუ ბედნიერება გინდა, უკეთესი იყავ.

სარწუნოება არის სამკურნლო გულთა, ქვეყ-
ნის მიერ დაწყულულებულთა.

ქებას პირ-მოთნე კაცისას უფრო ვრიდე, ვიდ-
რე მუქარას მტრისას.

ქვიანი იგი კი არ არის, ვინც ბევრს აკეთებს,
არამედ იგია, ვინც აკეთებს იმას, რაც ჯერია.

ბიწი თვით უმშვენებურს სახესაც ამახინჯებს.

ყველაზედ მკვერ-მეტყველი ქადაგება მაგალი-
თია.

უვიცობა და არ ცოდნა ყველა სენზე უარესია
და ამასთანავე ყოველ სხვა გვარის სენის მიზეზიც
არის.

ყველა კაცმა რომ იგი სიკეთე ჰქმნას, რის
შემძლებელიც არის, ქვეყნიერებაზე უბედურნი
ალარ იქნებოდნენ.

შეიძლება ადამიანი მცოდნეარე იყოს სხვის
ცოდნით, ბრძანდ ყოფნა კი მარტო საკუთარის სი-
ბრძნით არის შესაძლებელი.

ვისაც ტანჯვის ეშინია, იგი უკვე იტანჯება
შიშისაგან.

ყმაწვილის გაწვრთნას საძირკველად ორი რამ
უნდა ჰქონდეს, ერთი კეთილ-ზნეობა და მეორე
კეთილ-გონიერება. პირველი ბოძია სათნოებისა და
მეორე—ფარი სხვის ბოროტის მოსაგერებელი.

ვინც სუსტის ხასიათისაა, იგი კაცი არ არის
—ნივთია.

ქვიანი კაცი მალე წახდება, თუ ქუქუსთან
ერთად ხასიათის სიმეგრე არა აქვს.

ყველაზედ ტკბილია იგი-მოსვენება, რომელიც
შრომით არის მოპოვებული.

საცა სინდისია, იქ საკმაო პატიოსანი სიტყვევა:
საცა სინდისი არ არის, იქ ფიციც არაფერია.

მწარმი ფიქრები

ყოველი გონებით ჩლონგი და უვიცი მაცა-
დინობს, რომ თავის თავი სოლომონ ბრძნად გა-
მოიყვანოს. ამისათვის ის არაფერს არ ზოგავს-ამ
მიზნის მისაღწევად. პირველ საშუალებად ამისთანა
გონებით ჩლონგთა მიაწინათ საზოგადოდ სამღვე-
ლობის ლაენძღვა გინება. ამის მინუშად მოვიყვანთ
გაზეთ „შრომაში“ დაბეჭდილს სიტყვებს: აი ეს
სიტყვები:

სამღვედელოება, საზოგადოდ, და უმაღლე-
სი, კერძოდ, ყოველთვის რვაქციონური ყოფილა
და ეხლაც არის. მმართველ კლასთა ყურმოქილ
ყმად გამხდარი სამღვედელოება, ყოველთვის იმას
ცდილობდა, რომ ხალხი გონებით სიზნელში დაე-
რჩინა, მოეკლა მასში თავისუფალი აზროვნება.
თავის ბატონობის განსამტკიცებლად ოფიციალური
ეკლესია ყოველთვის ათასგვარ საზიზღარ საშუა-
ლებას მიმართავდა ხოლმე: სდევნიდა ყველას, ვინც
კი ოფიციალურ ეკლესიის მოქმედებას კრიტიკის
ქარ-ცეცხლში ატარებდა, სწვამდა წიგნებს, სადაც

თავისუფალი აზრები იყო ხოლმე გატარებული და სხვა. მიუხედავად ყველა ამისა, „კრიტიკოსები“ მაინც ჩნდებოდნენ და სცილილობდნენ ხალხში სინათლის შეტანას. ამისთანა „ერეტიკოსია“ გამოჩენილი მწერალი ლევ ტოლსტოი. ტოლსტოიმ ქრისტესა, სახარტებსა და სარწმუნოებაზე თავისი საკუთარი აზრები გამოსთქვა და მართლმადიდებელ ეკლესიის მოქმედება დაჰგმო. სამღვდლოება ამხედრა და ეკლესიიდან განდევნა.

მაგრამ სამღვდლოება ამას არ დაჯერდა. მან მოინდომა ხალხის უვიკობითა და ცრუმორწმუნეობით ესარგებლნა და ტოლსტოის გაეღენა მოესპო. ამის მისაღწევად, როგორც „ღვადც. ვიკი“ ვაღმოგვეცემს, შემდეგ საშუალებას მიმართეს: ვლონსკის უღაბნოში ეხლა ამხაღებენ თურმე ღიდ ხატებს, რომღებზედაც საიქიოს გასამართლება დახატული. ცვადვითა შორის უღიდღეს ცეცხლზე ლევ ტოლსტოი იხრაკება თურმე. გონებრივად გაკოტრებულმა სამღვდლოებამ ამხე მეთი შემოქმედება ვერ გამოიჩინა.

ყველას სრული უფლება აქვს თავის რწმენა ჰქონდეს, მაგრამ არავის არა აქვს უფლება თავისი სულღებრივი რწმენა ძალით სხვას მოახვიოს თავზე და მიადღებოს.

ჩვენ არ ვიცით სად არის ეს „ვლონსკის“ უღაბნო და მართალია თუ არა რასაც ვაზეთი ჩხამავს. შეიძლება მართლა ამ უღაბნოში არიან გონებით ჩლუნგი ბერები და სისულელეს ჩაღიან, მაგრამ რაშუაშია აქ მთელი სამღვდლოება? აღექსანდრე მაკულანოვი კარგი კაცი იყო, მაგრამ ამისთვის სკამები რათ უნდა დავამტერიოთ? ლევ ტოლსტოიმ მართლმადიდებელი ეკლესიის მოქმედება დაგმოვო. ამისთვის სამღვდლოება ამხედრდა და ეკლესიიდან გამოიციხაო. თუ ასე საწყენი იყო ტოლსტოის ეკლესიიდან განდევნა, მაშ მომზრე ყოფილა ეკლესიისა და სწუხს ამ განდევნას!?

ყველა ამისთანა არა მკითხვე ვექილები უფრო სახელს უტეხენ ტოლსტოის ვინემ შიდაცა ბერები.

ხშირად გვინახავს ამისთანა სურათებში, რომ სხვა ცოდვილთა თანა ცეცხლის გენიაში არიან მოყოლილნი გვირგვინოსნები, მღვდელთმთავრები და მღვდლები. ეს რაღას ნიშნავს? საცოდავო კაცის გონებაჲ, რამდენს რამეს ჯღაბნი, რომლის ნიშნულთა არა გესმის და ვერ გაგვიცია!

სოფელის ხუტესა.

ახალი ექსარხოხის მოსვლა თფილისში.

ახალ ექსარხოხს ბალაჯარაში მიეგება მღვდელი ჩეტრიკინი ტომით რუსი. თფილისში მოვიდა დღის მეორე საათის ნახევარზე. თერთმეტი საათიდან სიონის ტაძრიდან, გოლოფინის პარკსებზე ვერის ხიდსკენ რკინის გზის სადგურამდის დაყვებულ იყო ორპირად ჯარები. ამ ქუჩებზე თორმეტი საათიდან მოძრაობა აღკაძოლული იყო. რკინის გზის სადგურზე მიეგებენ ექსარხოხს ეპისკოპოსი პეტრე, სემინარიის რექტორი, გუბერნატორი გენერალ-ლეიტენანტი გორჩაკოვი, დამცველი ჯარების უფროსი და პატრიოტული საზოგადოების დეპუტატები პურ-მარილით. შემდეგ გუბერნატორი და ექსარხოხი ერთად წამოვიდნენ ჯარებს შუა, მაგრამ მის კარგეს გარშემო მაინც მიყვებოდა წინ პოლიციებისტი უნდარმებთი; უკან საპატოვო დამცველი ნამესტინიკის და ყაზახის პოლტის პოლკისა. ასე მივივანეს სიონში. აქ პეტრე ეპისკოპოსი მიეგება და მცირე ლიტის შემდეგ ორიოდ სიტყვა წარმოსთქვა. სიონიდან სასახლეში მიაცილეს. აქ წარუდგნენ გენარლები და ოფიცრები. სამს საათზე ნამესტინიკს ეახლა სავიზიტოდ და ნამესტინიკმაჲ ამავე დღე გარდაუხდა ვიზიტო.

მართალია მწყემსი ძღვეა-მოსილი მოვიდა, მაგრამ სამწყსო სად არის?..

თქვენ ხედავდით მარტო თოფებს ჯარს. ოფიცრებს, გენარლებს, სტრაჟნიკებს და უნდარმებს სამღვდლოება კი არსად სჩანდა. თქვენ გგონებოდა, რომ მოვიტოდა ვინმე დიდებულის სამხედრო პირს ჯარების დასახედავით და არა მშვიდობის მომფენი „მუდაბლი“ მღვდელთ-მთავარი, რომელიც მოსულა რომ სული თვისი დასდვას ცხოვრთათვის. რადენი გასაოცარი აზრი გავივლის ამის მნახველს გულსა და გონებაში!..

ჭურნალ-გაზეთმთბიდან

მიძინებულის ახლო აღმოსავლეთი ილიქისეს; მოუძღვრებულის სპარსეთი, ს'დაც აქამდე სამართლებული სიჩუე იყო გამეფებულის და ხალხი სულკაცმენდილი ემორჩილებოდა დახვესებულსა და ხალხის კეთილ-დღეობის გამანადგურებელ მთავრობას, დღეს გამოცოცხლდა და ცხოვრების ახალ გზას დაადგა. ნიქიერი და შრომის მოყვარე სპარსელი, რომელიც ერთ დროს მაღალ კულტუროსანი იყო,

ეწეება ახალ, საღ ცხოვრებას, და სრული იმედია, რომ ძველი ირანი კვლავ გაიზალებს კულტურას და დღეს აბუჩად აგდებული შორე და ახლო მეზობლებისაგან, კვლავ პატივცემული შეიქნება.

საკვირველი ის არის, რომ სპარსეთის ხალხს დიდი სისხლის ღვრა არ დასჭირებია ახალ ცხოვრების საძირკველის ჩასაყრელად. ამ მხრივ საინტერესო ცნობებს იძლევა ვაზეთ „ბრეტევიკა ველომისტი“. ს. კორესპონდენტი, რომელსაც უსაუბრია სპარსეთის ელჩის მოადგილესთან. აი ეს საუბარიც:

—რამდენი ხანი გაგრძელდა განმათავისუფლებელი მოძრაობა სპარსეთში?

—განმათავისუფლებელი მოძრაობა დაიწყო, ასე, შეიღის წლის წინაღ, როცა ხალხმა, უკმაყოფილოდ არსებულის კანონებით, ე. ი. ყოველგვარ ფეოდალბობით, პროტექციით და სხვით, მოითხოვა ამ კანონების გადასინჯვა. საგანგებო სიძლიერით მოძრაობამ იჩინა თავი უკანასკნელ სამის თვის განმავლობაში, როცა თეირანში გამოაცხადეს „ხალაჲ“ (გაფიცვის ჰქეია სპარსულად)—დახურეს დუქან-მალაზიები, შესწყვიტეს მუშაობა და სხვა.

—სისხლის ღვრა თუ მოჰყვა ამ მოძრაობას.

—იყო სისხლის ღვრაჲ, მაგრამ ძალიან ცოტა. მთელ სპარსეთში 15 მილიონამდე მცხოვრებია და დაშავებული მხოლოდ ორია.

—ჯარი ვის მხარეზედ იყო?

—ჯარი სულ მთავრობის მხარეზედ იყო და უწყისობის მოსპობას სცდილობდა. იარაღს მხოლოდ მაშინ მოჰკიდა ხელი ჯარმა, როცა მეჩეთში თავმოყრილმა ხალხმა ქვის სროლა დაუწყა და ჯარის დასტრა. მეჩეთს თოფები ესროლეს და ორი დაშავდა. ეს ორი კაცია მთელი მსხვერპლი განმათავისუფლებელი მოძრაობისა.

—კონსტიტუცია მოულოდნელი ხომ არ იყო?

—ისეთ ვრცელ კონსტიტუციას, როგორც მისმა უდიდებულესობამ შაჰიმ უბოძა ხალხს, არ მოელოდნენ; ხალხი მხოლოდ კანონიერებას თხოულობდა. მაგრამ შაჰი კარგად ხედავდა, რომ ასეთი რეფორმა ცოტა ხნის შემდეგ ვერ დაკმაყოფილებს ხალხის მოთხოვნილებას და გადასწყვიტა პირდაპირ ხალხის წარმომადგენლობის შემოღება. ამ წარმომადგენლობას საკანონმდებლო ფუნქციები აქვს, ასე რომ მთელი შემდეგი მუშაობა მისგან იქნება დამოკიდებული.

—როდის იქნებია მოწყვეული ხალხის წარმომადგენლები?

—ვინა ჯერ არ არის დანიშნული, მაგრამ ვფიქრობ, რომ სულ მოკლე ხანში, რადგან ყველამ კარგად იცის, რომ ცალიერის დაპირებით ხალხის დამშვიდება შეუძლებელია.

ახალი ამბები და შენიშვნები.

* * * ნამდვილის წყაროებიდან შევითყუეთ სემინარიის შესახებ შემდეგი: ა) იმ მოწაფეებმა, რომელთაც 1905 წლის ენკენისთვის გაფიცვაში მონაწილეობა მიიღეს და ამის გამო გამგეობის წევრთა უმრავლესობის დადგენილებით დათხოვნილ იქნნენ სემინარიიდან, უკეთუ სურთ სემინარიაში სწავლა, უსათუოდ თხოვნები უნდა შეიტანონ სემინარიის გამგეობის სახელობაზე ამ წლის 16 მარიაობის თვემდის. ბ) ვისაც სურს სემინარიის პირველ კლასში შესვლა, მას გამოსცდიან (მხოლოდ წელს) ოთხს საგანში: ა. რუსულსენაში (უსლავიანურად) ზებირად და წერილად (თხზულება და დიქტანტი); ბ. არითმეტიკაში; გ. საეკლესიო ტიბიკონში და რუსეთის სახელმწიფო გეოგრაფიაში, გამოიცდებიან ის მოწაფენიც; რომელნიც წარსული წლის ენკენისთვისეში პირველ კლასის გასახსნელად გამზადებულს პარალელელურს განყოფილებაში უნდა მიეღოთ, მაგრამ გაფიცვის გამო ექსპარხოსმა აღარ დაამტკიცა მათის მიღების ეურანლა. არ გამოსცდიან იმ მოწაფეებს, რომელნიც 1905 წ. მაისის თვეში მიიღეს პირველ კლასში; გ) სემინარიის მოწაფეებს შეერთებ კლასის დამთავრების შემდეგ ნება აქვსთ შეიფერისტიტეში შესვლისა. ამის გამო რამდენმამე პირმა, რომელმაც სემინარიის ოთხი კლასი არ დაუმთავრებიათ, მიმართეს გამგეობას თხოვნით, რათა მათ მისცემოდათ გამოცდის შემდეგ ოთხი კლასის კურსის დამთავრების მოწმობა. სემინარიის წესდებაში ეს საკითხი გამორკვეული არაა. ერთგან ნათქვამია: უკეთუ სემინარიის, მაგალითად, მესამე კლასში სურს ვისმე შესვლა, უნდა გამოიცადოს მეორე კლასის საგნებში და პირველ კლასის ყველა საგნებში სავალდებულო არაა მისი გამოცდა; მეორე ადგილას კი ნათქვამია: ასეთი მოწაფე ყველა



წინა კლასების (პირველი და მეორე) საგნებში გამოკლილ უნდა იქნას და ამ შემთხვევაში ყოფა-ქცევასაც მიექცეს უურადღებაო. ამის გამო სემინარიის გამგეობამ მოსთხოვა სინოდს ამ საკითხის გამორკვევა და დღე-დღეზე მოელის პასუხს; დ) სემინარიის გამგეობამ გადასწყვიტა გახსნას პირველ კლასის ორი ან სამი პარალელური განყოფილება.

* * * ეგრევე წოდებულმა „სინოდის“ თავისუფლებამ რუსეთში ერთი მეტად თვალსაჩინო ვარემოება გამოიწვია: აუარებელი ხალხი მართლ მადიდებლობას თავს ანებებს და კათოლიკობასა და ლოუტერანობას იღებს. დღემდის მართლ-მადიდებლობისათვის 11 ათას კაცს დაუნებებია თავი და სხვა სარწმუნოებაზე გადასულა. მღვდლების წრეებში ეს გარემოება ძალიან მითქმა-მოთქმას იწვევს.

* * * ნამესტნიკის შესახებ მთავრობის ორგანო „პრავ. ვესტნიკი“ აცხადებს, მართალი არ არის ხმა, ვითომ კავკასიის ნამესტნიკი გრაფ ვორონცოვ-დაშკოვი მიდიოდეს და ადგილზე სხვასა ნიშნავსო. მართალი არ გამოდგა აგრეთვე კავკასიის გაყოფა.

* * * სამხედრო წესები. მთელ თტილისისა და ქუთაისის გუბერნიაში მარტო კახეთი ვადარჩა სამხედრო წესებს. მაგრამ ეხლა, როგორც „ოტც.“-ს გაუტია, იქაც ვანუზრახეთ ამ წესების შემოღება. მიზეზად თავდახმა და ძარცვა-გლეჯას ასახელებენ.

* * * სალდათების მატინგი. 23 ივლისს ასახადის ქალაქის ბაღში საღამოს ხუთ საათზე ჩვეულებრივად მუსიკა უკრავდა. ბაღში უმეტეს წილად სალდათები დასერილობდნენ, 7 1/2 საათზე სალდათები შევიდნენ იმ ადგილას, სადაც მუზიკას უკრავდნენ. ამ ჯგუფიდან ერთმა სალდათმა სხვებსაც დაუწყო მიპარტყება: „ამხანაგებო, აქეთ მოდიო, პეტრებურგიდან ახალი ცნობები მოვიდაო“. მალე ყველა სალდათები შეუერთდნენ ამ ჯგუფს. რომელმაც „მარსელიეზას“ მღერა დაიწყო. სიმღერის შემდეგ სალდათებთან მივიდა ერთი მუშა და აუხსნა, რომ ამხიარ კრებას არავითარი მნიშვნელობა არ ექნება, რადგან ეს გამოსვლა კერძო ხასიათისა იქნებაო.

ამაზე სალდათებმა სამართიანად შენიშნეს, ჩვენ არავითარ „გამოსვლას“ არ ვაპირებთ, ჩვენ გვინდა მხოლოდ დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებაზე ვიბაძასო. მაშინ ჯგუფიდან ერთი სალდათი გამოვიდა და ამხანაგებს დასლოცვებით შემდეგ

გის სიტყვებით მიიართა: „უპირველეს ყოვლისა აღნიშნო, რომ არ შეგვეფერება მუსიკით ღრს გატარება მაშინ, როდესაც მთელი რუსეთი შავებით არის შემოსილი. ამხანაგებო! სახელმწიფო სათბობირო, რომელზედაც მთელ ჩვენს იმედებს ვამყარებდით, დაითხოვეს. მთავრობა აცხადებს: სახელმწიფო სათათბიროს წევრებს ხალხისთვის სიკეთე არ უნდრადებო; მაგრამ ეს უშკარა სიტყვა; სათათბირო მიწასა, თავისუფლებასა და აღმინაურ უფლებებს თხოულობდა, მაგრამ მთავრობამ დაითხოვა იგი, რადგან თავისუფლება მას ქირივით ეჯავრება. ეხლა ხალხის წარმომადგენლებმა გამოსცეს მოწოდება, რომელშიაც წინადადება აღდგენ მცხოვრებთ, მთავრობის სასარგებლოდ აღარც ერთი კაბეკი არ ვადაიხადონ, ჯარში გასაყენად არც ერთი კაცი არ მისცენ. ამხანაგებო! დროა, რომ ჩვენ, სალდათებიც, გონს მოვიდეთ და მთავრობის საზიზღარ მოქმედებას ანგარიში ვაუწყუთო. გვეყო სისხლის ღვრა, გვეყო ტრემლები და გაუთავებელი წყევლა-კრულვა. ჩვენ ხალხის შვილები ვართ და ამიტომ ხალხთან უნდა ვიყოთ. ხალხს მივემხროთ, ამხანაგებო, ხალხს ვაუპარჯოს!“ მართალია! მართალია! იგრილა სალდათების ხმა. ორატორის სიტყვებით აღფრთოვანებულმა სალდათებმა „მარსელიეზას“ მღერა დაიწყეს და მშვილდობიანად დაიშლნენ. („პერელომა“).

† * * * როგორც ყველგან მთელს იმერეთის ეპარქიაში შორაპნის საბლაღოჩინო ოლქშიაც მოხდა სამღვდლოების კრება სასწავლებლების შენახვისა და სამღვდლოების სხვა კითხვების გარდასაწყვეტად. როგორც ყველგან აქაც სამღვდლოებმა ყურადღება მიაქცია იმ მღვდლებს, რომელთაც სინოდმა მღვდელ მოქმედების აკრძალვა გადაუწყვიტა. კრებამ გარდასწყვიტა: ეთხოვოს მღვდელმთავარს, რომ იშუამდგომლოს ხსენებულ მღვდლებს განთავისუფლება, ვინადგან ყოველ სასულიერო პირს სურს რომ საქართველოს ეკლესიას მიენიკოს ავტოკეფალია. სამღვდლოების კრებისაგან გამოსხლტა მხოლოდ კიცხის ეკლესიის მღვდელი მიხეილ ბუაიძე, რომელმაც ხელი არმოაწერა სამღვდლოების ამ დადგენილებას, თუმცა ცარიელი სიტყვით ბევრს ლაპარაკობდა ვითომც ავტოკეფალიის მომხრე იყოს იგი.

ორ—ჩრდილოეთისა და სამხრეთის—საგენერალ-გუბერნატოროდ.

* * როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები გადმოვეყენენ, ბიუროკრატის განუზრახავს ახალ ბიუროკრატულ დაწესებულების შექმნა. აზრდა აქეთ პოლონეთისა და კავკასიის საქმეებისთვის დააარსონ განსაკუთრებული სამინისტრო. ბრძანება ამის შესახებ მალე იქნადა თურემ გამოცემული.

* * დიქტატურა, დიქტატურაო, იძახიან, მაგრამ ფაქტურად დიქტატურა უკვე ამოცხადებულია. თითქმის მთელ რუსეთში არა ჩვეულებრივი წესები შემოღებული. სამხედრო წესები გამოცხადებული 40 გუბერნიაში, გაძლიერებულ დაცვის წესები—15 გუბერნიაში და სავანებო დაცვისა—27 გუბერნიასა და ოლქში. მთელ რუსეთის 87 გუბერნიიდან 82 გუბერნიასა და ოლქში სამხედრო წესები გამოცხადებული. დარჩა მარტო 5 გუბერნია. რაიუსფალი ქვეყანაც ამისთანა უნდა!

* * ვარშავაში მომხდარ ამბების შესახებ „რუსკ. კლ.“-ს სწერენ: „დღეს ცოტაოდენი სიმშვიდე ჩამოვარდა. ქუჩაში სიარული მინც საშიშია. ყოველნაბიჯის შემდეგ პატრულს შეხედებით. ქუჩაში გამგელე-გამომგელეთ სხრევენ. ოფიციალურ ცნობებით, მოკლულია 15 პოლიციელი, 6 ქანდარმი, 3 სალდათი და ორიც უბნის ზედამხედველი. პატრულით ყოველ მხრისკენ ისარაკებენ. ბევრი სრულიად უნდაშაულო ხალხი დაზარალდა. საავადმყოფოში ას დაქრილზე მეტი წაიყვანეს. დაქრილებრავლების შესახებ ბრძანება მოვიდა, უსათუოდ ციხის საავადმყოფოში წაიყვანეთ ხოლმეო. ჩხრეკის დროს სალდათები, განსაკუთრებით ემრაველთა უბანში, გამვლელ-გამომვლელთ სასტაკათა სცემდნენ ხოლმე. ვარშავიდან იმავე გაზეთს ატყობინებენ. ლოდის, რადომსა და პლოცკშიც პოლიციას დაექუნენო. ლოდში ოთახი პოლიციელი და ორი სალდათი მოუკლავთ. მესამე საპოლიციო ნაწილში უსროლიათ ყუმბარები, რომლითაც კიდევ სამი პოლიციელი და ორი სალდათი მოუკლავთ. პოლიცია სულ მთლად გადაშვარა. პატრულებს სროლა დაუწყიათ, ბევრი დაუხოციათ და დაუჭრიათ. რადომში საპოლიციო ნაწილისთვის ყუმბარა უსროლიათ და დაუნგრევიათ. პლოცკშიც ხუთი პოლიციელი მოუკლავთ. აქაც პატრულებს სროლა დაუწყიათ.

* * კრასნაე სელოში ვრცელი მოხსენება წა-

რუდგენით იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაში იპყრება ამ ქაში პოლონეთი; მოხსენება, სხვათა შორის, იმ აუარებელ მკვლევლობასაც ეხება, რომლებიც პოლონეთში ამ ხანებში ხდებოდა. პრემიერს მაშინვე განმარტება მოსთხოვეს, რისთვისაც პრემიერი პოლიციის დეპარტამენტს გამგეს შეეკითხა. როგორც „რუსკ. სლ.“ გაუგია, ამ ავგისტოს საკითხის შესახებ მოხდება კრება მინისტრთა საბჭოში, რომელიც გენერალ სკალონის გამოიწვევს. სკალონის გადაყენება ვიტეტუსაც უნდოდა, და გარემიკინსაც, მაგრამ სასახლის პარტიამ იმდენი ქნა, რომ ვარშავის გენერალ-გუბერნატორი ისევ თავის ადგილას დაარჩინა.

* * კიშინიოვიდან „ბირჯ. ვედ.“ ატყობინებენ, 29 ივლის საღამოს ათ საათზე აქ სახელმწიფო თათბიროს ყოფილ წვეგრის სეფფერის სადგომი გასჩხრეკეს, თითო სეფფერი-კი სტრაჟნიკებმა და ქანდარმებმა დატყუალესო.

* * ამ ცოტა ხანში ტფილისში გაჩხრეკეს მთაწმინდაში ეგრედ წოდებული წყაროს უბნის მცხოვრებნი. სხვათა შორის გაჩხრეკეს ია. გოგებაშვილის ბინა. სხვათა სახლებში, როგორც ამბობენ, რამდენგანმე რევილევრები უპოვნიათ. ყურადღება მიაქცეს ტარვილოვის ქუჩაზე მკერვალიშვილის სახლს. ამ რამდენიმე ხნის წინად ერთ უტნობს კაცს მკერვალიშვილის სახლის ქვედა სართულში ერთი ოთახი დაუქრავებია. ეს ყმაწვილი კარგა ხანია პოლიციას შეუპყრია და უკვე გადაუსახლება რუსეთში. მას შემდეგ ეს ოთახი დაკეტობი ყოფილა. მკერვალიშვილის სახლში ერთის თვის წინად გადასულა ტფილისის ამომჩხველად ნამყოფი იოსებ გიორგობიანი ახლად ჯვარდაწერილ მუღლით; ამავე სახლში მცხოვრობდნენ დავრენტი ჯავახიშვილი, ილია მაღალაშვილი კოლ-შვილით და ივანე გაბუნიის. ამ დღეს პოლიციელებს და ჯარის მკერვალიშვილის ქვედა სართულის დაკეტობი ოთახი გაუტეტებიათ აქ საწოლს ქვეშ ყუთში უნახავთ პატრონები და რევილევრები. შემდეგ აუყრიათ აგურის იატაკი და ერთს ადგილას უნახავთ 8 ყუმბარა. ამის შემდეგ მთელი სახლი უფრო გულმოდგინედ გაუჩხრეკიათ, მაგრამ სხვა ვერა უნახავთ-რა. აღნიშნულ სახლში მცხოვრებნი დაკეტობი ოთახს არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ, მით უმეტეს, რომ სახლის პატრონი სოფელში ყოფილა.

საქართველოს



სახლის გაჩხრეკის შემდეგ დაუპატიმრებით ივანე გიორგობიანი, ილიკო მაღალაშვილი და მისი 12 წლის ყმაწვილი მიხეილი, ლავრენტი ჯავახიშვილი. საღამოთი, ასე 7 საათზე, არკადის ქუჩაზე დაუტერათი ქართველთა აშხანაგობის სტამბის მომუშავე იოსებ გიორგობიანიც. ამავე სახლში წინაღობის ცხოვრობდა მეოცნე დათი ვაზუნია, რომელიც კარგა ხანა სხვაგვარ გადასულა- იზოვნეს იმის ბინაც და დააპატიმრეს. გუშინ, 10 აგვისტოს, ასე 11 საათი იქნებოდა, ჯარი შემოარტყეს ქართველთა გამომცემელ ამხანაგობის სტამბას და ვილაციის ძებნა დაიწყეს. თან ბავშვი ჰყავდათ, რომელსაც ყველა მუშები აჩვენეს, მაგრამ ის, ვისაც ეძებდნენ, ვერ იპოვნეს და წავიდნენ. („შრომა“)

* * * ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსს პოლკოვნიკ ნეიგებაუერს მეტად სასტიკი ბრძანება გაუტია უბილეთო მგზავრების შესახებ. ამ ბრძანების ძალით, ვისაც უბილეთოს მოახლებდნენ, ორნაირ ფასის გადახდევინების გარდა, გადახდევინებენ ჯარიმას სამი ათას მანეთამდე, ან დააპატიმრებენ სამს თვემდე. პოლკ, ნეიგებაუერის ბრძანება ყველა სადგურებზე გააქრეს. ბრძანება ძალაში 9 აგვისტოს შევიდა.

* * * როგორც „ჩირნ. ვესტ.“-ი გადმოგვცემს, ქუთაისის გუბერნიის ამწიოკებელი გენერალი ალისანოვი ბერლინში თურმე წასულა ქრილობის მოსარჩენად. გახვთის სიტყვით, ალისანოვისთვის საეკიმოდ 15 ათასი მანეთი მიუციათ.

+ * * ქართლ-კახეთის ეპარქიის რწმუნებულთა კრებამ იენისში დაადგინა, დაიხუროს „დუხოვნი ვესტნიკი“ და იმის ნაცვლად დაარსდეს ახალი საეკლესიო საზოგადოებრივი გამოცემა, საეპარქიო მთავრობისაგან დამოუკიდებელი. კრებამ აირჩია კომისია. ამ დღეებში ხსენებულ კომისიას კრება ჰქონდა ტყე, საეპარქიო საწინააღმდეგობის წევრებთან ერთად (ქარხანამ შეწყვიტა უნდა აძლიოს გამოცემას, უკეთეს ფული დააკლდება) და დაადგინა: „დაარსებულ იქნას ორკვირეული საეკლესიო საზოგადოებრივი გამოცემა რუსულს და ქართულს ენაზე, სამღვდლოების კრების სურვილის თანახმად. ამ ორგანოს დაერქვას: „განახლება“ („ობნოვლენიე“). ჟურნალი ეღირება 5 მან. რედაქტორებად არჩეულ იქნენ დეკანოზი კორნელი კვეციანიძე, ტყე, საეპარქიო საწავლებლის ინს-

პექტორი, და მღვდელი პოლ. კარბელაშვილი. სარედაქციო კომისიას შეადგენენ ორ ზემოდ-დასახლებულ მღვდლის გარდა, მღვდელი გ. გამრეკელი, მღ. ვას. კარბელაშვილი, მასწავლებლები ანტ. ნატროშვილი, ილ. ფერაძე და ს. გორგაძე (ერს-წევრს- რომელიც ავლია, კომისია მალე აირჩევს).

* * * რადგან ტყე. სემინარიის შენობის შეკეთება ვერ მოესწრება 16—19 აგვისტოსთვის, ამიტომ სემინარიის გამეგობამ ამ ორი ღლის წინადადგინა: გადაიღოს მისაღები გამოცდა 31-მდის სწავლის დაწყება განზრახულია 19 სექტემბერს ისევე ძველს შენობაში.

* * * სატახტო ქალაქის გახვთებში დაბეჭდილია შემდეგი დეგეშა: „შუამდგომლობა ადმრული, რომ სხვა სახელმწიფოებამაც მისცენ რუსეთს.ის პირები, რომელთაც 315 ათასი მანეთი გაიტაცეს დღეშთვის ზაზინიდან და რომლებმაც ეკვი აქტო, რომ სახელგარ-გარედ უნდა იყვნენ“.

* * * როგორც ერვინიდან გვატყობებენ, ამას წინაღ იქიდან პეტერბურგში გაუგზავნიათ 350,000 მან. როცა ადგილობრივ გაუსხნიათ პარკები, ფულის ნაცვლად, შიგ კალა უნახავთ. ფოსტატელგრაფის უფროსმა მოსწერა კავკასიის ფოსტატელგრაფის ოლქის გამგეს, თვითონ წავიდეს ერვანში ამ საქმის გამოსაძიებლად.

* * * ამას წინადა ვწყვილით, რომ მაშპილიანთა ორ პარტიას შორის ბაქოში ნამდვილი ომი გაიმართაო. „კასპა“-ს სიტყვით, ამ პარტიებს შორის მეორედაც მომხდარა ომი, ამასთან რამდენიმე კაცი მოუკლავთ და დაუქრიათ. ასეთი ომი თურმე სომხის ორ პარტიის — დაშნაკუთიუნების“ და „ჰანაქელების“ შორის. როგორც „აშტანაქი“ გადმოგვცემს, ეს პარტიები ბრძოლის დროს ისე იკლბენ და აწიოკებენ თურმე სოფლებს ერვანის საუბერნიაში, რომ ნამდვილი მტერიც არ იზამს ამას. ამას წინადა ჰანაქისტებს მოუკლავთ ორი დაშნაკუთიუნელი, ამაზედ ამ უკანასკნელთ ალყა შემოურტყავთ რამდენიმე სოფლისთვის და ამტყდარა საშინელი სრალო. აუარებელი აღმოჩნდა მოკლული და დაქრული. ბევრი შიშისაგან ესალმება თურმე წუთი სოფელს. არ გგონათ, ასეთი კულტურული ბრძოლა ერთხელა და ორჯელ მომხდარიყოს. რამდენიმე თვეა თურმე, ეს ორი ახირებულ ორი პარტია ასეთის საშუალებით უსწორდება ერთმანეთს.

* 10 აგვისტოს ტფილისის ქართულ გიმნაზიის გამგე კომიტეტმა დაადგინა, დიწყოს სწავლა გიმნაზიის 2, 3 და მე 4 მოსამზადებელსა და 1, 2, 7 და მე 8 გიმნაზიურ კლასებში. სწავლა არ იქნება მე 3, 4, 5 და მე 6 კლასებში, რადგან კომიტეტი შენობას ვერ იშოვნის მთელ გიმნაზიისთვის.

* * თავდა-ზნაურთა წინამძღოლის მოვალეობის აღმასრულებელმა დ. ნიჟარაძემ პეტერბურგიდან ბარონ ნოლდესაგან მიიღო ცნობა, რომ მიმდინარე წლის უმაღლესად მოცემული ხეფერი ფული 20, 000 მანეთის მიღებას ვერაფერი დააბრკოლებსო, ხოლო წარსულ წლების ფულის მიღება გაძნელებდა, რადგან თავდა-ზნაურობას იგი თავთვის დროზე არ მიჰქონდა და ყოველი წლის დამლევს შემოსავალს ემატებოდა. როგორც არა ერთხელ აღგვინიშნავს, თავდა-ზნაურობას არ მიუღია ოთხი წლის ფული 80,000 მანეთი, რომელიც უნდა მოხმარებოდა სთავა-ზნაურთა გიმნაზიის შენობის აგებას.

* * როგორც უკვე ვწერდით, ყველა სახალხო და საფოსტო მატარებელზე ბაქოდან ბათუმამდის და ტფილისიდან აღექსანდროპოლიამდის დაინიშნა აფიცური პატრა რაზმით. ამ „მატარებლის უმფროსებს“ (ისეთი სახელი დაერქვათ) ექმნებათ საყოფარი კუპებები. უბილეთო მგზავრებს გადახდებთ ორნარი ფასი და თითო „კონტროლნი პერეგონზე“ თითო მანათი. ის მგზავრები, რომელთაც არ შეეძლებათ ფულის გადახდა, დაპატიმრებულ იქნებიან. დაპატიმრებენ აგრეთვე იმ მგზავრებს, რომელთაც ბილეთები ექმნებათ, მაგრამ ვაგონის კიბეებსა ან სახურავებზე ისდებიან.

* * როგორც ანოვ. ვრემია-ს დებეშით ატყობინებენ, ოსმალეთში, ტრაპეზუნის ოლქში, რომელიც ბათუმისა და ყარსის ოლქებს საზღვრავს, შავი ჭირი ვაგინდა. ვაზეთის სტყევით, საშიში ჯერჯერობით არაფერია, მაგრამ საზღაურზე თვალყურის დევნება მაინც საჭიროა.

* * იმ საქმეების გამო, რომელიც ამ ბოლო დროს მოსკოვში მოხდა, ადმინისტრაციას სურს ერთ დიდ სამოსამართლო პროცესად გადაქციოს. ბრალდებულად ამ შემთხვევაში კერძო პირები კი აღარ იქმნებიან, რამედ მთელი საიდუმლო საზოგადოება, რომელსაც სოციალისტრევოლიუციონერების ოპოზიციონერი ფრაქცია ჰქვია. მხოლოდ ამის შემდეგ პასუხის გებაში მისცემენ კერძო პირებს, რომელთაც ამა თუ იმ საქმეში მიუღიათ მონაწილეობა. ამ საქმეს შეუერთებენ აგრეთვე მოსკოვში აღმოჩენილ ყუმბარების ლაბორატორიების საქმეებსაც. აღინისტრაცია დარწმუნებულია, რომ ამ საშიშ ორგანიზაციას სამუდამო ბოლო მოუღოს. ამ ორგანიზაციის ბევრი მოღვაწე დაატყუალეს, მაგრამ მოთავენი კი ჯერ მაინც ვერ აღმოუქნიათ. ყველაფერი, რაც კი პოლიციას ამ ბოლო დროს აღმოუჩენია, იბრძო, დინამიტი, სტამბები, ყუმბარები, —100,000 მანეთზე მეტი ღირს. სხვათა შორის, ამ უკანასკნელ დღეებში მოსკოვში დაუქვრიათ ავტომობილი, რომელიც სოციალისტრევოლიუციონერების ოპოზიციონერი ფრაქციის საკუთრება ყოფილა.

დადგინილდა

+ „1906 წელსა, მაისის 29 დღესა, ჩვენ ქვემო-რე ამის ხელის მომწერი, ჩუნეშის საბლაღოჩინო ოლქის სამლედლო და საეკლესიო მსახურნი შევიკრიბეთ ბლაღ. მღვ. ი. ფანცხავას წინადადებით ს. წყალტუბოს წმ. გიორგის ეკლესიის გაღვივანში დამოკიდებულ მსჯელობა იმ სტატიის შესახებ, რომელიც ერთგვარულია იმ 1906 წ. „საეკლესიო უწყებათა“ მე №13-14-ში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის უარის ყოფნაზე. განვიხილეთ რა შინაარსს ამ წერილისა, ჩვენს შორის გამოიწვია დიდი განცვიფრება და აღშფოთება იმ უსამართლო და საზოგადოება ბრალდებამ, რომელსაც ავტორი ამ წერილისა ახევეს თავზედ საქართველოს სამლედლოებას და ხალხს, ვითომც იგი წინააღმდეგი იყოს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისა. ეს ჩვენ მიგვაჩნია დიდ შეურაცხყოფად და ცილის წამებად, რისათვისაც პროტესტს ვუცხადებთ იმ წერილის უსახელო ავტორს. სამლედლოება იმ თავიდანვე მომხარეა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობისა, რაიც უკვე დამატება თავის პეტრიკით და დღესაც ამახვე მოითხოვს მტკიცედ. დღევანდელ პირობებში მისთვის აუცილებელ საჭიროებას შედგენს ეკლესიის თავისუფლება და მისი თავისუფალი მართვა-გამგებობა. რასაზედა შედგენილ იქნა ეს ოქმი და მასზე ხელს ვაწერთ.

ხელს აწერენ ჩუნეშის საბლაღოჩინო ოლქის სამლედლო და საეკლესიო მსახურნი, რომელთა ხელის მოწერას ვამოწმებ,

ბლაღ. მღვ. იუსტინე ფანცხავა.





სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და გეთილ- ხნეობაზე.

ლოცვა და მარხვა ქრისტიანის,

ლოცვის, ანუ ღმერთთან, როგორც პირთან არსებასთან, საუბრობის ნება ქრისტიანს მინიჭებული აქვს ქრისტე—მაცხოვრისგან, რომელმაც დაუტოვა ქრისტიანობას უმშვენიერესი მაგალითი ლოცვისა, რომელშიც ქრისტიანე მოუწოდებს ღმერთსა, როგორც თავის მამას. ესოდენ დიდი მოწყალება ვიღოს ადგეს ქრისტიანებს, რომ იქონიონ მან ლოცვით მიდრეკილება, რომელიც ფრიალ საქვარსა და სასარგებლოა მისთვისვე. ეს მიდრეკილება არის საფუძველი სულიერი ცხოვრებისა. ვისაც არა აქვს ეს მიდრეკილება, იგი სცხოვრებს მხოლოდ ხორციელად, როგორც პირტუყვი. ლოცვითი მიდრეკილება არ მოითხოვს იმას, რომ კაცმა, ლოცვის მტრს, სხვა არა გააკეთოს-რა: ყოველი პატიოსანი შრომა, სვინდრისით აღსრულება თვის მოვალეობისა, თუ კაცი იწყობს და ათავებს მათ ღვთის სახელის მოწოდებითა, არის ლოცვა. განთიად და მწყობრით მრთელი ბუნება დიდების—მეტყველებს შემოქმედსა. ნუ თუ ადამიანი, არსება გონიერ—პირმეტყველი, ქვეყნის მეფედ წოდებული, არ არის მოვალე, რომ წინ უძღვეს ბუნებას ამ დიდების—მეტყველებაში?.. ლოცვითი მიდრეკილება მდგომარეობს იმაში, რომ ქრისტიანეს ყოველთვის ახსოვდეს ღმერთი, მიკლედ, გონებით, გულით და ნებით აღიბრუნდეს, მაღლობდეს და ეცვდრებოდეს ღმერთსა, ითხოვდეს მისგან ცოდვათა მიტევებასა, ზეციერთა და ქვეყნიერთა კეთილთა როგორც თავისთვის, ისე მოყვასთათვის, —სთხოვდეს შემწეობას ყოველ კეთილ საქმეში, იმ ჰასრითა, რომ კაცსა, როგორც უძღლურ არსებასა, არ შეუძლიან ქმნას, რაიმე კეთილი, თუ ღმერთი არ შეწყვეა მას. ასეთი მდგომარეობა კაცისა არამთუ არ არის სამძიმო, არამედ იგი მოვალეა, რომ ყო-

ველთვის იყვეს -ამ მდგომარეობაში, მოვალე თვალნი და ხელნი აღპრობილნი ჭკონდეს ღმერთსა... ადვილად წარმოხალდგენია, როგორ შემტობდება კაცთა ბიჭიერება, თუ იქნება მათი შეგნებითი ლოცვითი მიდრეკილება, თუ მათ ეხსოვებათ ღმერთი და თვისი მოვალეობა... ყოველი ბიჭიერება, რომელთაც ჩამოთვლა საზარელია, სწარმოებენ ნამდვილად იმისაგან, რომელიც ივიწყებს ღმერთსა, თვის მაღალ ღირსებასა და მოვალეობასა. ლოცვითი მიდრეკილების საფუძველი დევს ადამიანის თვითშეგნებაში. კაცი ისე დატვირთულია ცოდვითა, ისეთი გავლენა აქვს ხორცსა და სისხლსა, რომ მის მაღალ თვითშეგნების გაღვივება შეუძლიან მხოლოდ ქრისტეს სწავლასა და მის მაღლსა. აი სად არის ღირსება ქრისტეს ეკლესიისა: იგი არის მცველი ქრისტეს სწავლია და მის მაღლისა. ამიტომ მხოლოდ ქრისტეს ეკლესიაში მოიპოვებინ ის ღონისძიებანი, რომელნიცა მიანიჭებენ ადამიანსა ქვეშაირტ განათლებასა და აღამაღლებენ მის თვითშეგნებასა. თვითშეგნე ქრისტიანესა უყვარს ეკლესიური სწავლა—მაძღვრება, როგორც ღვთის რიგი, უყვარს ღვთის მსახურება და მძლი, საიდუმლოთა შინა არსი. ტაძარი ლოცვისა ამისთანა ქრისტიანეს მიაჩნია ღვთის სახლად, ამიტომ იგი შედის ამ სახლში სარწმუნოებით, კრძალით და ღვთის შიშით, შედის შემუსრული და დამდაბლებული გულითა სალოცავად და არა გასართობად, შედის, როგორც ცოდვილი—მეზვერე, და არა როგორც მკვებარა, ამპარტავანი ფარისველი,—შედის და გამოიღი: გამართლებული და განათლუებული. ქრისტიანე უნდა ენახებოდეს ღმერთს სულითაც და ხორცილთაც. ამიტომ შეგნებული ქრისტიანე არ იკადრებს ღვთის ტაძარში არც სიკოლ-ღრქვასა, არც ლაპარაკსა, არც წინ ფეხს გადადგმასა და ხელების უკან დაწყობასა, რაგვარი საქციელიცა, სამწუხაროდ, ბევრ ქრისტიანეთა აქვთ ჩვეულებად. ბევრმა ჯეროვანი პირჯვრის გამოხასხვაც არ იცის: უაზროდ და უფიქრებლად იქნეს მარჯვენასა, ეზარება, რომ იგი მიიტანოს შუბლამდინ, ჩამოიტანოს მკვრელადინ, შემდეგ მიაქციოს მარჯვენასა და მარცხენა მხარესა, —ეზარება გამოხასხოს სწორე ჯვარი, რომელზედაც ტანჯულ იყო ქრისტე—მაცხოვარი ჩვენ ცოდვითათვის. ამგვარი საქციელი ქრისტიანეთა ნიშნავს სულის სიკარგი-

ლესა, ღვთის შიშისა და მოწიწების უქონლობასა, მაშინ როდესაც მათით უნდა იყვეს შემკული ბლოცველი ქრისტიანე. სკოდავენ ქრისტიანენი, როდესაც ღვთის ტაძარში შედიან იმ განზრახვით, რომ აჩვენონ სხვათა თვისი და ნახონ სხვის მორთულობა. უმჯობესია მათთვის, რომ ან შინ ისდნენ, ან სხვა ადგილი მონახონ ამნაირი გართობისთვის. მართალია, ვისაც აქვს შეძლება, მან ეკლესიაში უნდა იაროს საკადრისად ჩაცმულმა, როგორც მოითხოვს მისი წოდება, მხოლოდ უნდა ახსოვდეს, რომ გარეგან მორთულობას მნიშვნელობა არა აქვს ლოცვაში; აქ საჭირონი არიან: სარწმუნოება, სიყვარული, სასოება, სიმშვიდე და შეგნება თვის ცოდვითი მდგომარეობისა. ეს არის სულიერი მორთულობა ქრისტიანესი, ღვთისთვის სასიამოვნო. ამის გამო ღვთის ტაძარში ადგილი აქვს ძონძით მოსლის გლახასაცა. ასე, ღვთის წინაშე არის ის თანასწორობა, რომელიც არ არის კაცთა სასოვადობაში. აქ არის ტოლმეტობა, რომელიც არ მოსწონს ბევრსა, მაგრამ იგი დაწესებულია ღვთისაგან, იგი ყოველთვის იქნება ქვეყანაზე ღვთის ნებითა, ხოლო კაცი უნდა დაემორჩილოს ამ ნებასა... სკოდავენ ქრისტიანენი თვის უწესრიგო საქციელითა, მაგ. ბზობას, წყალის კურთხევის და ჯვარის წერის დროს. ან არ იციან, ან ავიწყლებათ მათ, რომ ღმერთი არის ღმერთი წესისა და მშვიდობისა, ამიტომ ქრისტიანე მოვალეა, რომ დაიცავს წესრიგობა და მშვიდობა ყოველთვის და ყოველგან...

ქრისტეს ეკლესია, როგორც დედა, ზრუნავს ქრისტიანეთა სულიერისა და ხორციელის კეთილმდგომარეობისთვის. კაცი—ცოდვილი, ხრწნილების მოყვარული, ეკლესიას შეყავს სულიერი ცხოვრების გემოვნებაში; რადგანაც მხოლოდ ეს ცხოვრება არის საფუძველი ნეტარი უკვდავებისა. ამიტომ ეკლესია ხმარობს ყოველ ღონისძიებათა, რომ აღზარდოს ქრისტიანე კეთილმისასურებაში,— ხმარობს იმ ღონის ძიებათა, რომელნიცა მანიჭებულნი აქვს ეკლესიასა თვით ქრისტე—მაცხოვრისაგან. ეს ღონისძიებანი არიან: სწავლა ქრისტესი, საიდუმლონი, ლოცვა და მარხვა. ადამიანი არის თავისუფალი არსება: არც ღმერთი, არც მისი ეკლესია არ ავიწროებენ მას. ეკლესია მხოლოდ უჩვენებს კაცსა ნათელსა და კეთილსა, ცხონების გზასა. ამ შემთხვევაში ეკლესია მიმართავს ქრის-

ტიანესა, როგორც გონიერ და ზნეობითი არსებასა. ხოლო კეთილგონიერება და კეთილზნეობა ვალდებულ ჰყოფს ქრისტიანესა, რომ სწავლა და რჩევა ეკლესიისა მიიღოს მან, დაემორჩილოს მას, როგორც მოსიყვარულე და გულშემატკივარ დედასა. უმთავრესი ღირსება მემარბულე ქრისტიანესი მდგომარეობს იმაში, რომ იგი ემორჩილება ეკლესიის ღვთობრივ ხმასა, როგორც ხმასა ღვთისასა. თვით კაცობრიობის წინაპართა იგემეს სიმწარე ურჩობისა. მას აქვთ ყოველი ადამიანი, მეტად ანუ ნაკლებ, შეუპოვრად გემოვნებს ამ სიმწარესა, იტანჯება, კვდება, მაგრამ კიდევ შეუპოვრებს. ასე ღრმად დაცეა კაცის ბუნება პირველი ურჩობისგან. ამიტომ კაცის მხრივ დიდი ძალდატანება მოითხოვება, რომ იგი შეიქნას მორჩილი. გულნი მრავალთა მშობელთა სასიკვილოდ მოიწყუციან შვილთა ურჩობისაგან. ეს კარგათ იციან მშობელთა, იციან, რამდენი შვილი იღუპება ამ ბიწიერებისაგან, რამდენი შრომა და იმედი იკარგება, რამდენი მწარე ცრემლი იღვრება. ავგოთვე იღუპება სულიერად ყოველი ქრისტიანე, რომელიც შეუპოვრად უცხადებს ეკლესიას ურჩობასა. მორჩილება ყოველგან და ყოველთვის არის საფუძველი ბედნიერებისა, ხოლო ურჩობა—უბედურებისა...

მარბულობა, შეცვლა და ზომიერად მიღება საქმელი.—სასმელისა დიდად სასარგებლოა ადამიანისთვის. ამით სხეული სუბუქდება. სუბუქ სხეულში სული ნათლდება, უფრო ღონიერდება და უფლებს სხეულზე. ასეთი მდგომარეობა სულისა კანონიერია: სული უნდა უფლებდეს სხეულზე და არა სხეული სულზე. ხოლო უზომოებისგან საქმელსასმელში სხეული მიძიმდება, როგორც რკინა თანგისაგან. პოხილი სხეული მიძიმე ტვირთთა სულისთვის. ამისთანა სხეულში ცოდვითი გულის თქმანი აღძვირნი უფრო ჩქარა და მეტად, ამისგანთა გონება სულისა ბნელდება, ნება მისი სუსტდება და კაცი ადვილად სკოდავს. ცხადია, რომ, როდესაც ეკლესია ურჩევს ქრისტიანეს მარბულობასა, მას სახეში აქვს ისა, რომ ქრისტიანემ შესაბუჟოს თვისი სხეული ზომიერებითა და მოთმინებითა. ეკლესიამ იცის, გამოცდით, რომ სისუბუქე სხეულისა დაახლოვებს მას სულიერ მდგომარეობასთან. ხოლო ეს მდგომარეობა საჭიროა ლოცვისთვის, რომელიც უნდა იყვეს შეერთებული

ს ა შ უ მ ბ რ ი .

რა არის მკვამლანაჲ ჟოველივიჲჲ უდიდესი?

„ნასაღა თუ კაცთასა და ანგელოსთასა ვიტყვოდ, ხოლო სიყვარული არა მაქნდეს; ვიქნე მე, ვითარცა რაღა, რომელი ოხრინი, გინა წინწილი, რომელი ჰქმობდნ, და მარქნდესღა თუ წინასწარმეტყველებაჲ, და უწყოდ ყოველსაიღმელთაჲ. და ყოველი მეცნიერებაჲ, მარქნდესღა თუ ყოველივე სარწმუნოებაჲ. ვიდრე მათთაჲ ცვალებამდ, და სიყვარული თუ არა მაქნდეს; არა რაი ვერ, და მელოდ ვაჰამო ყოველი მონაგები ჩემი, და მივსცენ კორინი ჩემნი დასაწყველად, და სიყვარული არა მაქნდეს; არა რავე სარგებელ არს ჩემდა. სიყვარული სულ-გრძელ არს და ტბოლ, სიყვარულსა არა შერბა, სიყვარული არა მალლიონ, არა განლაღის, არა სარცხენილი იქნის, არა ვიციებს თავისასა, არა ვანრისხნის, არად შეჰრაცხის ბოროტი, არა უხარინ სიტრუესა ზედა, არამედ უხარინ ჰეჰ-მარიტებასა ზედა.

ყოველივისა თვის-იღებს, ყოველი ჰრწამნ, ყოველსა ესან, ყოველსა მოითმენ. სიყვარული არა სადა დავარდების, გინათუ წინასწარმეტყველებანი განაქარდენ, ანუ თუ ენანი დასცხერენ, გინა თუ მეცნიერებანი განაქარდენ. რაჲმე თუ მტირედ რაიმე ვიციო, და მტირედ რაიმე ვწინასწარმეტყველებო. ხოლო რაჲმის მოიწიოს სარული იგი, მაშინ მიტყუდიცა იგი განაქარდეს. ოდეს იგი ვიყავ ყრმა, ვიტყოდი, ვითარცა ყრმა, „შერაცხილ ვიყავ, ვითარცა ყრმა; ხოლო ოდეს ვიქნე მამა-კაცი, დაუტყვე სიყრმისა იგი. რამეთუ ვეადეთ აწ ვითარცა სარკითა და სახითა, ხოლო მაშინ პირისპირ; აწ ვიცი მტირედ, ხოლო მერმე ვიცნა, ვითარცა ზვემეცნე. ხოლო აწ ესე რა ჰციეს: სარწმუნოება, სასოება და სიყვარული, სამი ესე; ხოლო უფროს ამითსა სიყვარული არს.“ (1 კორინთ. 13 თ.).

რა არის ჟოველივიჲჲ უდიდესი მკვამლანაჲ?

ყველას, რასაკვირველია, მოსვლია თავში ის დიდი კითხვა ძველისა და ახალის დროისა, თუ რაში მდგომარეობს უდიდესი კეთილი ქვეყნიერებაზედ? რა უნდა ვისურვოთ ჩვენ უწინარეს ყოვლისა და რა უნდა იყოს უდიდეს მიზნად ჩვენთა მიღრეკილებათა?

უმეტესი ნაწილი მოგვიგებს, რომ მორწმუნე დამაინისათვის ყველაზედ უდიდესია სარწმუნოება. მრავალი საუკუნოების განმავლობაში ეს დიდი სიტყვა იყო საფუძვლიან კილოდ ერთა სარწმუნოებითი ცხოვრებაში, და ჩვენ შევეთვისეთ იმ აზრს, რომ სარწმუნოებას ეკუთვნის პირველი ადგილი. მაგრამ

მარხვასთან. გარდა ამისა შეცვლა და დაკლება საქმლისა სასარგებლოა თვით სხეულისთვის: მაშინ იგი უფრო საღდება, უფრო თავისუფალია სხვადასხვა ავადმყოფობათგან. უმთავრესი მხარე მარხულობისა მოითხოვს სულიერ აღკმაღლასა საზოგადოდ ცოდვათგან. თუ ქრისტიანე სუამს სამარხოსა, ხოლო იმავე დროს სცოდავს ჩვეულებრივ, მაშინ ამისთანა ღირსი აღკმაღლეს ფასი არა აქვს, იგი უსარგებლოა. ასე, წმინდა ეკლესია მარხვისა და ღლოცვის საშუალებითა განსწავნდს და აღამაღლებს ქრისტიანეს ცხოვრებასა, ხოლო დიდმარხვაში სინანულითა და ზიარებითა აერთებს მას ქრისტე-მაცხოვართან. ეს ისე დიდი სიკეთეა საწყალი კაცისთვის, რომ მან უნდა შესწიროს ამ წმიდა საქმესა არა მხოლოდ გემოთმოყვარება, არამედ მთლად თვისი არსებაცა. ანჩილი ყრმა, რომელიც სიკრპით არ ემორჩილება დედასა, რომ ვაბანოს მისი ქუჩუკიანი ტანი, ავადღდება ქუჩუკისაგან და კვდება. ისე ქრისტიანე, ურჩი წ. ეკლესიისა საუკუნოდ კვდება ცოდვითი უწმინდურობისაგან. ასე სამწუხაროა დასასრული იმ ქრისტიანეთა. რომელიც არამთუ არ ემორჩილებიან ეკლესიასა, არამედ, როგორც ზნეობით დატეხულნი, ზრახავენ კიდეცა მის წესდებულებათა. ასეთი ყოფა-ქცევა ქრისტიანეთა არის მათთვის დიდი უბედურება, არის ნამდვილი გონების სიბნელე. ნათელი გონება დაზრახავს არა ეკლესიის წესდებულებათა, არამედ თვით კაცსა, მის ურჩობასა, სიკერპესა, იმის სულიერ და ხორციელ სიზარმაკესა, რომელიც უშლის კაცსა ცოდვილი მდგომარეობის შეგნებასა. კისაც აქვს შეგნება კაცობრივი და ქრისტიანული ღირსებისა, იგი არასდროს არ მოშორდება ეკლესიის ღვთობრივ კალთასა: შეძლებისა გვარად იგი კიდევ იმარხულებს, კიდევ ეზიარება ყოველწლივ, ღვთის ტაძარშიცა ივლის სალოცავად კვირადღესასწაულში, — როგორც მყავი შვილი, იგი შეინანებს თვის შეცდომილებასა, აღვიარებს, რომ ეკლესიის წესდებულებანი მშვენიერნი არიან, მხოლოდ თვით კაცი არის ბოროტი ურჩი, უგუნურად თავგასული...

ი. პალეოგო.



ეს ასე არ არის. ერთად ერთი სარწმუნოება მიზანს კიდევ არ ეხწევა. თუ მივიღებთ სახეში მოციქულის ეპისტოლეს სიტყვებსა, ჩვენ მართლა ვდგევართ ქრისტიანობის სათავესთან ამ ეპისტოლეს სიტყვებით ცხადია, მაგრამ უფროს ამათსა სიყვარული არის. ეს შემთხვევითი შენიშვნა არ არის. მოკ. პავლე იმ თავისავე დასაწყისში ამბობს სარწმუნოებაზე: მარქნდესსა თუ უფველივე სარწმუნოებას, ვადრე მოათვა ცვალებადმდე, და სიყვარულა თუ არა შექნდეს; რა ვერა ვარ. მაშასადამე, იგი არ უშეკვს მხედველობიდან არც სარწმუნოებას, მას უპირდაპირებს სიყვარულსა. ხოლო აქ ეს რა ჭკეის სარწმუნოებას, სისება და სიყვარული, სიმი ესე, ამბობს იგი და ბქვე უეჭოთ სწყეტავს: ხოლო უფროს ამათსა სიყვარულა არს.

მოციქული სწერს ამას არა რაიმე წინა განზრახულობითა. აღამიანს აქვს თვისება აქის ის, რისკენაც თვითონ უფრო მიდრეკილია. მოციქული პავლე ბუნებით არ იყო იმ რიცხვთაგანი, რომელნიც სიყვარულს აძლევენ უპირატესობას სხვა ყოველივეზე. ეტვი არაა, რომ დაკვირვებულ მეთვალყურეს ადვილად შეუძლია მისიღოს იმ სარწმუნოებრივ დაბადებულს და ყოველ წლობით უფრო და უფრო გამოცხადებულ სიყვარულისა ნიშანს ამა მოციქულის ხასიათში.

სიყვარული, როგორც უდიდესი კეთილი, ამაღლებულია არა მხოლოდ კორინთელთა მიმართ ეპისტოლეში, არამედ ყოველი ქრისტეს მიერ მოგზავნილი ერთის აზრისანი აზიან ამაზედ. მოციქული პეტრე ამბობს: უფავისა წინა ურთიერათ არს სიყვარულა განმარტებულა გაქვან. იოვანე ღვთის მეტყველი სწერს, რომ ღმერთი არის სიყვარული. თქვენ გახსოვთ საესე ღრმა აზრითა მეორე თქმულება იმავე მოციქული პავლესი, სადაც იგი ამბობს, რომ „სიყვარული კანონისა აღსრულება არს“. რა უნდოდა ეთქვა ამ სიტყვებით მოციქულსა? ხალხი, რომლისადმი იყო მიტყეული ეს ეპისტოლე, რაცხდა ზეციურ სასუფეველის დასამკვიდრებელ საშუალებად ათი მცნების და ასი სხვა ამ ათი მცნებითგან მათგანვე გადაკეთებულ მცნებების აღსრულებასა. ქრისტე გვიჩვენებს ჩვენ უადვილესსა გზასა. თუ აასრულებთ ამ ერთ მცნებასა, მოთ ამბობს იგი, თქვენ ყველა მცნებასაც აასრულებთო. თუ სიყვარული გქმნებათო, თქვენდა შეუმწველად მთელსა

კანონსა შეასრულებთო. ძნელი არაა ჩვენ თვითონ დაკრწმუნდეთ ამაში.

ავიღოთ ათი მცნებიდან: და არა იყვენ ღმერთანი უცნობი ჩემს ვარუშე. უნდა თუ არა უთხრა ეს იმას, ვისაც უყვარს ღმერთი? სიყვარული არის აღსრულება ამ კანონისა. არა მოაღო სხელი უფავისა ღვთისა შენისა ამათს წყდა. იხიაროს თუ არა ვინმე ღვთის სიყვარული მისისა სამართაო სახელს ამართ? „მოიხსენე დღე იგი შაბათი და წმიდა ჰყავ იგი“. ვისი გულიც მიისწრაფება ღვთისაკენ, მხოლოდ მისთვის შეიძლება ბქნეს ძრიელ სასიხარულოთ შეწირვა მისი სამსახურისათვის ერთი შეიღ დღეთაგანისა. ამ სახით სიყვარული არის აღსრულება ღვთის მცნებათა. და აგრეთვე უნდა თუ არა ჩაგონება მას, რომელსაც უყვარს თვისი მოყვასი, რომ მან პატივი სცეს მამასა და დედას? ის პატივსა სცემს მათ ჩაუგონებლადაც უნდა თუ არა აკრძალვა იმას, რომ მან არ მოკლას ძმა თვისი? იმას ეს აზრადაც არ მოსდის. ანუ არ იპაროს? იგი ამაზე არა ფიქრობს. რასთვის მოინდომებს იგი წაართვას სხვებს რამე, თუ ისინი უყვარს მას, ანუ ცილი დასწამოს, როდესაც ძვირად ფასებს მათ? სრულებით მეტია აგრეთვე მისი თქმა: „არ მოინდომო არაფერი, რაცა ეკუთვნის შენსა მოყვასსა“. თუ მას უყვარს ეს მოყვასი, იგი თვითონ უფრო ჩქარა მისცემს მას, მინემ შეშურდება მისთვის რაიმე. ასეთია აღსრულება სიყვარულის კანონისა, ერთად ერთი კანონი სხვა ცხოვრების კანონების შესრულებისა, ახალი კანონი ყველა ძველთა მცნებათა შესრულებისა, ერთად ერთი საიდუმლო ქრისტესაგან ქრისტიანების ცხოვრებისათვის გამოცხადებული.

მოციქულმა პავლემ გაიცნო ეს საიდუმლო, და მეცამეტე თავში თვისი ეპისტოლისა კორინთელთა მიმართ, ამ მაღალ სიყვარულის საჯალოებელში, გვიხატავს ყოველივეზედ უდიდეს კეთილისა ვსაოცარსა სურათსა. ეს ქება სიყვარულისა განიცოფების სამწაწილად. შესავალში სიყვარული გამოიხატების დაპირდაპირებებში, შუაში იხსენება მისი შეტულობა (შინაარსი). ე. ი. მისი თვისებანი, ხოლო ბოლოში იგი მაღლდება, როგორც ყოველივეზე უდიდესი კეთილი.

დაწმინდაპირებანი.

მოციქული პავლე იწყებს სიყვარულის დაპირდაპირებიდან სხვა იმა ღრის დიდად პატივებულ

საგნებთან. ჩვენ შეგვიძლია აქ გამოვთქვათ მოკლე-
პირველი შეხედულობით სიანს, რომ ამა სხვა საგ-
ნებისა შეთანხმწორება სიყვარულთან არ შეიძლება.

ის სიყვარულს უპირდაპირებს სიტყვა-პიროუ-
ნებას, იმ კეთილშობილ ნიქს, იმ ძალას, რომელიც
იტაცებს და ასულდგმულებს გულსა და სულსა
ხალხისასა, მიმართავს აზრებს მაღალ მიზნებისადმი
და ღვთისათვის სასიამოვნო საქმეთადმი. ესასდა თუ
კაცთას და ახვედისასას ვატყობდე, სიფო სიყვარული
არა მქაქნდეს; ვაქმენ მე. ვითარცა რეალი, რომელი
რისის, ებას წინაწილი რომელი ქსმობდე. და ჩვენ ყვე-
ლი ვიცით—რისთვის? ჩვენ ყველი კარგათ ვიცით
სიკადმიერ იმ სიტყვებისა, რამელნიც მოკმეზულნი
არიან გრძობებსა, როგორაც დაუკრებლობა
უმშვენიერესის და ნიჭიერის საუბრისა, თუ ის არ
არის გასქვალული სიყვარულითა. იგი სიყვარულს
უპირდაპირებს წინასწარმეტყველებას, უპირდაპირებს
მის სიღმულოებასა, სარწმუნოებასა და მოწამეობასა.
რისთვის არის სიყვარული უღიდესი სარწმუნოებაზე?
მისათვის, რომ მიზანი უსაჭიროესია მის გზაზედ.
რისთვისაა ის უღიდესი მოწყალებაზე, ქველ-მოქმე-
დებაზედ? მისათვის რომ, მთელი უღიდესია თავის
ნაწილზედ. სიყვარული უღიდესია სარწმუნოებაზე,
მისათვის, რომ მიზანი უსაჭიროესია მის საშუალება-
ზე. რისთვისაა საჭირო სარწმუნოება? ის აერთებს
სულსა ღმერთთან. ღმერთთან შეერთება რალათ
უნდა მას? მისთვის, რომ ის დაემგებოს ღმერთსა,
ხოლო ღმერთი არის სიყვარული. მამსადამე სარ-
წმუნოება არის გზა, საშვალეობა, სიყვარული კი
მიზანი. აქედან ცხადია, რომ სიყვარული უღიდესია
სარწმუნოებაზედ. ის უღიდესია სიყვარულზე, ქველ-
მოქმედებაზე, მისათვის რომ მთელი უღიდესია თა-
ვის ნაწილზედ. ქველ-მოქმედება არის მხოლოდ
მიკერ ნაწილი სიყვარულისა. სიყვარული ქველ-
მოქმედობს, მაგრამ არა ყოველი ქველ-მოქმედება
არის სიყვარული. მიცემა გროშისა ქუჩაზე მათხო-
რისათვის ძელი არ არის. სიყვარული შეიძლება
ასვედ სინამდვილით გამოიხატოს უარის თქმაშიაც.
მოწყალებით იმ ავადმყოფური გრძობისაგან, რომელი
განძვნილია ხოლმე სიღარიბის შეხედვითა.
ნამეტან იფფსად გვინდა ვიყოლოთ ის, რაც ერთ
ღროებითად ასე ძვირია ღარიბისათვის. ჩვენი ნამდ-
ვილი სიყვარული კი გამოიხატვის და
პატარადაც.

ქვეით მოციქული ამბობს სიყვარულზე შე-
ღარებით მსხვერპლთან და მოწამეობასთან: და მის-
ცნ, სორენი ჩემნა დასაწყებად, და სიყვარული არა
მქაქნდეს; არა რავე სარგებელ არს ჩემდა. იმით, რომ
მელთაც თქვენგანში გინდათ იყენეთ მქადაგებულად
ღვთისა სიტყვისა, მე ვსთხოვ დიამახსოვრონ, რომ
თუ გინდ თქვენ მისცეთ თქვენი სხეული დასაწყე-
ველად, და სიყვარული კი არ გექმნებთ, არ გექმ-
ნებთ არავითარი სარგებლობა. წახელათსა წარმართ-
თებთან, უნდა პირველიად გამოადგინოთ სიყვარული
თქვენს არსებაზე ბეჭედი და გამოხატულობა ღვთისა
სიყვარულისა. სიყვარული აი ნამდვილი ენა მთელი
ქვეყნიერებისა. მრავალი წელიწადი უნდა ჩინურს
ანუ სხვა ინდოელების ენაზე ლაპარაკის შესასწავ-
ლად. ხოლო პირველადვე თქვენის შესვლისა უკმა
მხარეში ეს ყველასათვის გასაგები ენა სიყვარულისა
იქნება თქვენდა შეუმჩვევლად, წყაროდ უღიდესი
სიტყვა-ხელოვნებისა. ქადაგების ძალა იმდენად კა-
ცის სიტყვებში არ მდგომარეობს, რამდენადც თვით
კაცში, მის ხასიათში. აფრიკანელს გულში, დიდ ტბებ
შუა, მე შევხედომილვარ ადგილობრივ მცხოვრებთ,
მამა-კაცებსა და დედა-კაცებსა, რომელთაც ასსოვ-
დათ მხოლოდ ერთი თვითი კაცი ყველა მათგან
ნახულ კაცებში—დავით ლივინგსტონი. პირისხვე
შავ კანიანებისა ვაცოცხლდება მაშინ, ოდესაც ისინი
იმ ლაპარაკობენ კეთილ ექიმზე, რომელიც იყო
მათთან წინეთ. სიტყვები მისი ინგლისურის საუბა-
რისა მათ არ ესმოდათ, მაგრამ ისინი გრძობდნენ
თავის-თავზედ იმ სიყვარულსა, რომლითაც იყო
ადესილი მისი გული. აი ასეთი სიყვარულით უნდა
იყოთ შემკობილი სადაც უნდა მიხვიდოდეთ; ეს
უბრალო საშუალებაა, მაგრამ მასში იფარება საყირ-
ველი ძალა, და მუშაობა თქვენი არ გაცივრის ბუქ-
თად. ამაზე მეტი თან წასაღები თქვენთვის არა არის-
რა; ხოლო უშკირესი იქნება უსარგებლო. უშკი-
რესია არა ღირს წასვლა ამგვარის გზითა. თუ გინდ
გექმნესთ ყველაფერის ცოდნა, ყოველი ნიჭი ქვეყ-
ნიური, თავის შეწირვა, თუ გინდ თავის დაწყვალ
თუ სიყვარული კი არ არის თქვენში, არც თვენი,
არც ქრისტეს საქმეს არ ექმნება მასში არავითარი
სარგებლობა.

მდ. ზღ. კლბაქიძე.
(გაერძელება იქნება).

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე,

სტამბა ჟურნალის „მეცნიერ“-ს რედაქციისა (დეკ. დ. ბ. ღამბაშიძისა) ყვირილა საკუთარ სახლში.